# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 19 ნოემბერი, 2010 წელი.

№216 (6582)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქართველო გლობალისტთა მიკრო-ლაბორატორია ხდება ②



## ექიმთან აგენტ-პაციენტებს ხომ არ შეგაგზავნით?!



② პაატა კურტანიძე თავის უცხოელ პარტნიორებზე ნაწყენია

## ② აპირებს თუ არა ხელისუფლება საარჩევნო გარემოს შეცვლას?!

## ევროპელი მეთვალყურეები ⑧ საქართველოში თავს გამოუსადეგრად მიიჩნევენ

## რას მოგვცემს ევრობონდების „მეორე ტალღა?" ⑤

## ოპოზიციას ნამდვილი ⑥ ლიდერი სჭირდება

## XXI ⑦ საუკუნის მეკობრეები



ნუთუ ეს დღეს შესაძლებელი უნდა იყოს?!.

## პატივცემულო მინისტრო, ნუთუ მართლა ასე ძნელია, რომ 17-18 წლის ახალგაზრდას გააგებინო, თუ რატომ არის აუცილებელი ამ გამოცდების ჩატარება?!. ③ ⑤




## თუ ყარაბაღში საომარი მოქმედებები დაიწყება, ამით პუტინი ისარგებლებს და საქართველოში ხელისუფლების ⑥ შეცვლას შეეცდება



შეხვედრა

# საარჩევნო გარემო რომც შეიცვალოს, მერე რა?!.

**საარჩევნო გარემოს შეცვლა ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში აქტუალური თემა გახდა. პრობლემის გარშემო, როგორც იქნა, ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი გაერთიანდა. განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მათ მაინც მოახერხეს ამ საკითხზე შეთანხმება და ახლა უკვე ხელისუფლებას უხმობენ მოლაპარაკების მაგიდასთან. მოლაპარაკებებში ჩართული არიან საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები. აქედან გამომდინარე, ოპოზიცია და ხელისუფლებაც ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ.**

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსულტაციები ცესკოში დახურულ კარს მიღმა რამდენიმე საათი გაგრძელდა.

ოპოზიციური პარტიები შეხვედრებს აქტიურად ესწრებიან, თუმცა როგორც ჟურნალისტებს განუცხადეს, ხელისუფლების სურვილში საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით დარწმუნებული არ არიან.

**ჯონდი ბაღათურია, საპარლამენტო ოპოზიცია:** „დარწმუნებული არა ვარ, რომ ხელისუფლება რეალურად აპირებს საარჩევნო გარემოს შეცვლას, თუმცა თავს ვალდებულად მივიჩნევ, ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებში ჩავერთო.

სახელმწიფოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს, ყველა პარტიისთვის თანაბარი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს შექმნა. თანაბარი გარემო პირველ რიგში გულისხმობს ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების თანაბრად გამოყენებას. ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციაში ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბრად წარდგენას და მედიის მიერ ყველა სუბიექტის თანაბრად გაშუქებას. თუ ხელისუფლება ამ ოთხ საკითხზე უარს განაცხადებს, ეს იქნება დიალოგის იმიტაცია, რასაც ჩვენ გავემიჯნებით“, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

კონსულტაციების დაწყებამდე განცხადება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელმა და პარლამენტის წევრმა ლევან ვეფხვაძემაც გააკეთა: „ჩვენ, ყველა პოლიტიკურ პარტიას გვმართებს განსაკუთრებული სიფხიზლე, რათა ხელისუფლებას არ მიეცეს საშუალება მისთვის სასურველ მოედანზე გვათამაშოს. არჩევნები არ არის მხოლოდ არჩევნების დღე. ეს არის პროცესი, რომელიც ახლავს მიმდინარეობას. მთავარია შევთანხმდეთ თემებზე და რაც შეიძლება სწრაფად დავიწყოთ განხილვა და მსჯელობა საარჩევნო გარემოს გამოსწორებაზე“, – აღნიშნა ვეფხვაძემ.

რამდენიმესაათიანი კონსულტაციების დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან პირველი განცხადება კი „რესპუბლიკური“ პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა გააკეთა: „ხელისუფლებას ვუთხარით, რომ აქ გასართობად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად არ მოვდივართ, გვინდა, რომ ამ მოლაპარაკებებს ჰქონდეს სწრაფი და ეფექტიანი შედეგი. კონსულტაციების დაწყებიდან ერთი კვირის თავზე აშკარა პროგრესი შეინიშნება. როგორც იქნა მივაღწიეთ შეთანხმებას კონსულტაციების ფორმატში გადაწყვეტილებების მიღების წესთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ შეხვედრებზე გარკვეულ საკითხს ჯგუფის ზოგიერთი წევრები მხარს არ დაუჭერენ, მასზე მუშაობა გაგრძელდება. ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ ვალდებულებას იღებს, რომ კონსულტაციებზე სრული კონსენსუსით მიღებულ საკითხს პარლამენტში განხილვისას უკლებლივ ყველა მათგანი მხარს დაუჭერს“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით შემუშავებული საკითხების განხილვას ხელისუფლება და ოპოზიცია მომავალი ოთხშაბათიდან დაიწყებს.

**თინათინ ბორცაძე**

პარლამენტში

# ექიმთან აგენტ პაციენტებს ხომ არ შევაგზავნით?!

## პაატა კურტანიძე თავის უცხოელ პარტნიორებზე ნაწყენია

**ფარმაცევტულ ბაზარზე რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ამას სახელმწიფოც მიხვდა, გვიან, მაგრამ, მაინც. უპირველესად, ეს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას შეეხება, მაგრამ როცა ამ სფეროს რეგულაციაზე ალაპარაკდნენ, მიხვდნენ, რომ ფარმაცევტულ კომპანიებს ისე არ უნდა მოექცნენ, ქართული ბაზრიდან სამუდამოდ ფეხის ამოკვეთა რომ აფიქრებინონ. როგორც „ავერსის“ გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, ამ კომპანიამ გასულ წელს ბიუჯეტში 20 მილიონი ლარი შეიტანა. თანაც დაამატა, „თუ ვინმე ამიკრძალავს ბიზნესის წარმოებას, რა პრობლემაა, სხვაგან დავაფუძნებ ამ კომპანიას (კვიპროსში, მალტაში ან ამერიკაში). ვერავინ ვერ ამიკრძალავს მოგება მქონდეს საზღვარგარეთ. მით უმეტეს, ასეთი ბიზნესი გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან და იქიდან შემოვიტან მედიკამენტებს“. ეს განცხადება მან გუშინ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობდა. საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების და დამატებების შესახებ პროექტი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დოლიძემ წარადგინა და იგი ძირითადად სამ საკითხს შეეხო: „ჯანმრთელობის დაცვის“, „საექიმო საქმიანობის“ და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონს“.**

დღევანდელი კანონმდებლობით ექიმს შეუძლია, საკუთარი სურვილით პაციენტს შესთავაზოს კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიის პროდუქტი, ხშირად არაკეთილსინდისიერად, მატერიალური დაინტერესების სანაცვლოდ, რადგან ექიმები ღია თუ ფარულ გარიგებაში შედიან ფარმაცევტულ კომპანიებთან. ეს ყველაფერი ინტერესთა შეუთავსებლობის პირობების დარღვევაა, – ითქვა სხდომაზე. კანონპროექტის მიზანია დაიცვას პაციენტის უფლება. ექიმმა დანიშნულების გამოწერის დროს მას ფართო არჩევანი უნდა შესთავაზოს. თუმცა ჯერ ესეც დასაზუსტებელია, რომელსაც მეორე საკომიტეტო მოსმენისას განიხილავენ. „უმჯობესი ხომ არ იქნება, ექიმმა გამოწეროს წამალი მისი ძირითადი, ანუ „გენერიული“ სახელწოდებით, ხოლო მერე აფთიაქში მისულ პაციენტს ფარმაცევტმა შესთავაზოს მედიკამენტი კომერციული სახელწოდებით“, – სხვადასხვა ფირმის წარმოებული სხვადასხვა დასახელებით. პაციენტს თავად შეუძლია გააკეთოს არჩევანი ფასის თუ ხარისხის მიხედვით, – ფიქრობენ კომიტეტში.

საგულისხმოა, რომ გასულ წელს ჯანდაცვის სამინისტროს კვლევებით საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ყველაზე დიდი ოდენობა, დაახლოებით 40 პროცენტი სწორედ მედიკამენტებზე იხარჯება. აქედან გამომდინარე, დასკვნაც შეიძლება გაკეთდეს, დღეს წამლის ბიზნესი ყველაზე სარფიანია. ამ ბაზარზე კი „ავერსი“, „პსპ“ და „ჯიპისი“ ლიდერობენ. არის თუ არა ოლიგოპოლია, ამაზე ჯერ კიდევ დავობენ, რადგან ეს კომპანიები თავად არ ასახელებენ რამდენი წილის მფლობელები არიან. მაგალითად, პაატა კურტანიძე ამბობს, რომ მან არ იცის, ავერსის წილი რამდენია წამლის ბაზარზე.

დეპუტატი ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ ექიმისა და ფარმაცევტული ფირმების გარიგების პროცესს ეს კანონმდებლობაც ვერ უშველის: „პრობლემას ასეც ვერ გადაჭრით, რადგან არავინ იცის, რას მოელაპარაკება ექიმი პაციენტს. იქაც მოსასმენ აპარატურას ხომ არ მოვათავსებთ, ან აგენტ პაციენტებს ხომ არ შევაგზავნით?“

თავად მედიკოსები მიიჩნევენ, რომ რეგულაციის ყველაზე საუკეთესო მექანიზმი სამედიცინო „გაიდლაინების“, ანუ პროტოკოლების შექმნაა. „აუცილებელია შეიქმნას ნაციონალური „გაიდლაინების“ სისტემა, რაზეც აქტიურად მუშაობს ჩვენი სამინისტრო. ეს იქნება სავალდებულო სახელმძღვანელო ექიმისთვის, ამა თუ იმ დაავადების შემთხვევაში, რა წამალი, რა დოზით გამოწეროს, ხოლო მაკონტროლებელს უფლება ექლევა შეამოწმოს, შეესაბამებოდა თუ არა ექიმის მკურნალობა ნაციონალურ პროგრამას“, – აღნიშნა მიხეილ დოლიძემ.

რაც შეეხება წამლის სიძვირეს, პაატა კურტანიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში მედიკამენტების ფასი ევროპულია. „სხვათა შორის, ძალიან ნაწყენი ვარ უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებზე, – აღნიშნა მან, – აღმოჩნდა, რომ წამლებს ჩვენ უფრო ძვირად ვყიდულობთ, ვიდრე პოლონელები, უკრაინელები თუ სხვები. უბრალოდ, ასეთ რამეზე ადრე არც მიფიქრია, ვერ წარმომედგინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პრეპარატი ჩვენ 10 დოლარად მოგვყიდეს, ხოლო სხვაგან 4-5 პროცენტით იაფად გაყიდეს. რა თქმა უნდა, ვუსაყვედურეთ, თუმცა რატომ გააკეთეს ასე, პასუხი არა აქვთ. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი თავსატეხი, გლობალური პრობლემაა“.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმაც აღნიშნა, რომ ექიმსა და ფარმაცევტულ ფირმებს შორის გარიგება ამა თუ იმ ფორმით მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში ხდება. ყველგან არიან ექიმები, რომლებიც კომერციული დაინტერესების გამო პაციენტს იაფი და ხარისხიანი წამლის ნაცვლად ძვირადღირებულს უნიშნავენ.

**ჯერჯერობით ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი მაინც გაიდლაინების სისტემაა. უბრალოდ ექიმები ამბობენ, რომ მისი შედგენა არ უნდა მოხდეს პროფესიული ასოციაციების ჩარევის გარეშე. თუკი ასეთი ასოციაციების მიერ იქნება მოწონებული და აღიარებული, არანაირი ბრძანებულებები მას არ სჭირდება. რაც შეეხება კანონპროექტს ფარმაინდუსტრია სულაც არ განიცდის ვნებათაღელვას და მას აბსოლუტურად ეთანხმება. მეტიც, კურტანიძე ამბობს, რომ თუკი აიკრძალება ფარმაცევტული ლოგოების გამოყენება რეცეპტებზე, კალამსა თუ ფურცელზე, შესაბამისად კომპანია მათ აღარ დაბეჭდავს და ხარჯებსაც შეამცირებს.**

**მეორე მოსმენის შემდეგ, 24 ან 26 ნოემბერს კანონპროექტს უკვე პლენარულ სხდომაზე განიხილავენ.**

**თეა მოსია**

ბურები ჩამოდიან?

# საქართველო გლობალისტთა მიკროლაბორატორია ხდება

**საზოგადოებაშიც და ოპოზიციურ ბანაკში, ალბათ, არაერთხელ დაფიქრებულან იმაზე, თუ რაშია მიხეილ სააკაშვილის ძლიერების რეცეპტი, რატომ უჭერს სააკაშვილს და მის გუნდს მხარს დასავლეთი, მიუხედავად ყველა იმ იმედგაცრუებისა, რაც მათ ვარდების რევოლუციის შემდეგ მიიღეს. დემოკრატიის ყველა პარამეტრით საქართველო ქვემოთ ეშვება და დასავლეთში ამას კარგად ხედავენ. სამაგიეროდ დემოკრატიის დეფიციტი სრულად კომპენსირდება იმ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ ღირებულებითი ექსპერიმენტებით, რომლებსაც სააკაშვილი და მისი გუნდი მზარდი მასშტაბებით ახორციელებს ქვეყნის ტერიტორიაზე.**

რამდენად წაადგება საქართველოს და მის მოსახლეობას მსგავსი ექსპერიმენტები, თავად მოსახლეობის განსასჯელია, თუ, რა თქმა უნდა, მოსახლეობაში კიდევ დარჩა განსჯის უნარი და სურვილი, რაშიც სულ უფრო მეტი ეჭვი გეპარება კაცს, როდესაც უყურებ საზოგადოების პასიურობას იქ, სადაც არც ერთი მომწიფებული საზოგადოება არ დარჩებოდა პასიური.

სააკაშვილმა კი, როგორც ჩანს, მიაგნო იმ სანუკვარ ნიშს, რომელიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დაეხმარება მას და მის გარემოცვას ხელისუფლებაში დარჩენაში. ალბათ იკითხავთ რატომ და როგორ? ამის ნაწილობრივ ახსნას იძლევიან ის გამოხმაურებები, რაც ხელისუფლების „ექსპერიმენტებს“ ახლავს.

ხელისუფლებასთან დაახლოებულ ინტელექტუალთა წრის წარმომადგენელი, ილიას უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე საკმაოდ გულახდილად წერს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შედეგად საქართველომ მიიღო „სრულიად სხვა ხელისუფლება, რომლის გამოცდილებაც მანამდე არ გვქონია და რომელიც ყველაზე უფრო ჰგავს ნამდვილ ხელისუფლებას, მათ შორის იმ გადაცდომებითა და დარღვევებით, რომელიც იმ ხელისუფლებას აქვს, რომელიც რეფორმებს ატარებს: ამ პროცესში ყოველთვის არ ხერხდება ადამიანის უფლებების დაცვა“.(?!)

პრო-სახელისუფლებო ჟურნალ „ტაბულასთან“ ინტერვიუში აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ბაასი აღტაცებული საუბრობს საქართველოში ინგლისური ენის 10000 მასწავლებლის ჩამოყვანაზე. სააკაშვილისეული ინიციატივით ინგლისური ენის ცოდნა ქვეყანაში სავალდებულო ხდება, მისი ცოდნის გარეშე ადამიანი უმაღლესი განათლების დიპლომს ვერ მიიღებს, ფაქტობრივად ინგლისური ენა თავისი სტატუსით ბევრით არაფრით ჩამოუვარდება სახელმწიფო ენას. ინგლისური ენის ცოდნის და თანაც კარგად ცოდნის საჭიროებას ეჭვის ქვეშ არავინ აყენებს, მაგრამ რატომ ხდება იმათი დისკრიმინაცია და უფლებების შელახვა, ვისაც არ შეუძლია ან რაღაც მოსაზრებით არ სურს ინგლისურის სწავლა, ამაზე არავინ საუბრობს.

სააკაშვილის აპოლოგეტები კი გულხელდაკრეფილნი არ სხედან. გავლენიან Le Figaro-ში სააკაშვილის ფრანგი მრჩეველი რაფაელ გლუქსმანი სტატიაში „ატლანტიზმის გამოცდა „ახალი მსოფლიოს“ ფონზე, წერს: „ატლანტიზმის ფუძემდებლური პრინციპები ჯერ კიდევ ცოცხლობს: ეს არის ინდივიდუალურ თავისუფლებათა პატივისცემა, კაპიტალის, ადამიანებისა და აზრების თავისუფალი გადაადგილება, ეთნიკურ და კულტურულ ფესვებზე მაღლა მდგომი კოსმოპოლიტიზმი, კანონის უზენაესობა, მეცნიერული და ინტელექტუალური ინოვაციების დაფასება. ეს პრინციპები ქმნიდნენ და კვლავაც შექმნიან გლობალიზაციის საფუძველს და მას არეგულირებენ. კულტურულ ფესვებს მოწყვეტა თანამედროვე ეპოქიდან მოყოლებული ჩვენი იდენტობის შემადგენელი ნაწილია. იგი რამდენადაც გვაშინებს, იმდენადვე უნდა გვამხნევებდეს“. გლუქსმანს ამ პრინციპების განხორციელების ორ თვალსაჩინო მაგალითად ბრაზილია და.... საქართველო მოჰყავს. „მეორე მაგალითი საქართველოა. სულ რაღაც 7 წლის წინათ გაბანკროტების პირას მყოფი ქვეყანა დღეისათვის მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ლაბორატორიად იქცა... ეს ერთადერთი „გადარჩენილი“ ქვეყანაა მათ შორის, ვინც 1989 წელს ინიცირებული ემანსიპაციის გაგრძელებას ფერადი რევოლუციების ტალღით 2000-იანი წლების დასაწყისში ცდილობდა. დღევანდელ საქართველოს 30-40 წლის ახალგაზრდები მართავენ. მათი ერთგულება ატლანტიკური პრინციპებისადმი, ევროპის ყურისძირში „უკვდავების შადრევანივით“ (La fontaine de Jouvence) ჩქეფს.

გავლენიანი ბრიტანული „Independent“ კი ხელისუფლების მიერ დაგეგმილ მორიგ ექსპერიმენტზე, ჩვენს ქვეყანაში სამხრეთ აფრიკიდან 40,000 ბურის (ანუ ჰოლანდიელი ახალმოსახლეძ ჩამოსახლებაზე წერს და აღნიშნავს, რომ „საქართველოს მთავრობა წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის ინიციატივით გამოვიდა და სამხრეთ-აფრიკელ ფერმებს მათ ქვეყანაში მიწების შეძენას ფაქტობრივად უსასყიდლოდ სთავაზობს – თანამედროვე მიწათმოქმედებაში გამოცდილების და პროფესიონალიზმის სანაცვლოდ.“ ბრიტანულმა გაზეთმა გვაცნობა ის, რაც არც ერთ ქართულ მედიასაშუალებას არ უცნობებია. გაზეთს მოჰყავს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაპუნა დავითაიას განცხადება, რომელმაც ახლახანს თბილისში სამხრეთ-აფრიკელი ფერმერების დელეგაცია მიიღო და მათ მყარი გარანტიები შესთავაზა, თუკი ქვეყანაში დასახლდებიან. „ჩვენ სასოფლო-სამეურნეო სფეროსთვის ინვესტორებს ვეძებთ, რადგან საქართველო ყოველთვის მიწათმოქმედების ქვეყანა იყო, საბჭოთა პერიოდში კი ეს ტრადიციები დავკარგეთ“(?!ძ. საქმე უკვე დაიძრა და საინფორმაციო კამპანიაც დაწყებულია http://www.boers.ge/, როგორც მოსალოდნელი იყო ხელისუფლებას არ უკითხავს საზოგადოების აზრი ამ ექსპერიმენტზე. გაზეთ „კვირის პალიტრის“ 8-11 ნოემბრის გამოკითხვით კი გამოკითხულთა 85,1% ბურების საქართველოში შესაძლო ჩამოსახლებას უარყოფითად აფასებს და სავსებით გასაგებია რატომაც.

„მდგრადი ვერას“ სახელით ცნობილმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ კი ამას წინათ განაცხადა, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს გლობალური ლაბორატორია ელექტრომობილების გამოყენების კუთხით.

ექსპერიმენტების ნუსხა შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ, რადგანაც პრაქტიკულად არ დარჩენილა ცხოვრების სფერო, სადაც ხელისუფლებას მიკროდონეზე რაიმე გლობალური ექსპერიმენტი არ წამოეწყო. მთავარი კი ის გახლავთ, რომ სააკაშვილის და მისი გუნდის მიერ საქართველოს ბაზაზე შექმნილი გლობალური ექსპერიმენტების მიკროლაბორატორია ის ახალი პროდუქტია, რომელიც ისევე კარგად იყიდება საერთაშორისო პოლიტიკურ ბაზრებზე, როგორც თავის დროზე „ვარდების რევოლუცია“.

**ზაალ ანჯაფარიძე**

## „ოროსნების“ პარადის ქვეტექსტები





# პატივცემულო მინისტრო, ნუთუ მართლა ასე ძნელია, რომ 17-18 წლის ახალგაზრდას გააგებინო, თუ რატომ არის აუცილებელი ამ გამოცდების ჩატარება?!.

*საატესტატო გამოცდების მოხსნასთან დაკავშირებით გამართული აქციები პოლიტიკური განხილვის თემა გახდა. აქციაში მონაწილე სკოლის მოსწავლეებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მათზე ზეწოლა ხორციელდება.*

*„ინტერპრესნიუსმა“ ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზე პასუხი განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინისგან მიიღო.*

**– ბატონო დიმიტრი, საატესტატო გამოცდებმა საზოგადოების ნაწილში გარკვეული პროტესტი გამოიწვია. იქნებ, კიდევ უფრო დაგვიკონკრეტოთ, რატომ გახდა აუცილებელი ამ გამოცდების დანიშვნა, რამდენად ადვილი ან რთული იქნება მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა?**

– იმისთვის, რომ შეკითხვას ვუპასუხო, გთხოვთ, გაიხსენოთ, თუ რა ხდებოდა ერთი წლის წინათ. მაშინ მინისტრი ნიკა გვარამია იყო და მე, როგორც მშობელს, მთავრობის წევრს, ხშირად მესმოდა, რომ ნიკასგან სკოლებში მოსწავლეების დაბრუნებას ითხოვდნენ. ამ მიმართულებით ნიკა ძალიან ბევრს აკეთებდა და ჩვენი წარმატების საფუძველი სწორედ მის დროს გატარებული ღონისძიებებია. ერთი წლის წინათ სამართლიანად გვსაყვედურობდნენ, რომ ბავშვები სკოლებში არ დადიოდნენ. გახსოვთ, დეკემბერში გამოვაცხადე, რომ სამოქმედო პროგრამას და არსებული სიტუაციის ანალიზს იანვარში გამოვაქვეყნებდი. გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ეროვნული სასწავლო პროგრამების ცენტრის 500-ზე მეტმა ექსპერტმა ამ ორი თვის განმავლობაში ძალიან სერიოზული კვლევები ჩაატარა. შედეგად კი მივიღეთ ის მძიმე პროგნოზი, რომ თუ არ გავატარებდით კარდინალურ ცვლილებებს, 2012 წლისთვის მოსწავლეები მხოლოდ 6 კლასის ჩათვლით ივლიდნენ სკოლებში, უფროს კლასებში კი მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოემზადებოდნენ. ირღვეოდა ზოგადი განათლების სისტემის ფუნდამენტური ამოცანა – სკოლა ყოფილიყო დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დაწესებულება და არა საუნივერსიტეტო დანამატი.

ეს ყველაფერი იმ შეცდომებმა გამოიწვია, რომელიც ყველამ ერთად დავუშვით: ფსევდოლიბერალურმა მიდგომამ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ლიბერალიზმთან, ბავშვებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ: „ისწავლეთ მაშინ, როცა თქვენ გინდათ და ის, რაც თქვენ გინდათ; აღარ გვინდა ჟურნალი, დასწრება“ – გამოიწვია ის, რომ ბავშვებმა სკოლაში სიარული შეწყვიტეს. ეს არათუ ლიბერალური, არამედ ანარქიული მიდგომა იყო. მეც მშობელი ვარ, 6 და 11 წლის შვილები მყავს. უმცროსი მაშინ სკოლაში არ დადიოდა და უფროსი შვილისგან ვიცი, რა ხდებოდა სკოლაში: მე-11 კლასელები საერთოდ არ დადიოდნენ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ესწრებოდნენ გაკვეთილებს, როცა ეს სჭირდებოდათ და სხვა საქმით არ იყვნენ დაკავებულნი. ჩვენ შევცვალეთ ეს მიდგომა და დღეს კლასებში მეთორმეტეკლასელების 70-80% ზის. ამას ვამბობ არა ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, არამედ იმაზე დაყრდნობით, რომ თავად ყოველდღიურად დავდივარ 2-3 სკოლაში და ვხედავ, თუ რა ხდება: ვხვდები მეთორმეტეკლასელებს, პირადად ვამოწმებ ჟურნალებს და იმ კლასებში, სადაც 30-35 ბავშვი ირიცხება, მხოლოდ 4-5 ბავშვი არ ესწრება გაკვეთილს. ეს აბსოლუტურად ნორმალური და გასაგებია. წინათ კი გაკვეთილს 35 მოსწავლიდან არც ერთი არ ესწრებოდა.

ბავშვების დაბრუნება სკოლებში კომპლექსური ღონისძიებების გატარებით გახდა შესაძლებელი. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება საატესტატო გამოცდაა, მეორე მასწავლებელთა სერტიფიცირება, მესამე ფაქტორი არის სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მეოთხე ეს არის სწავლის სისტემის შეცვლა – გავაუქმეთ ტრიმესტრული და აღვადგინეთ სემესტრული სწავლება, დავაბრუნეთ ჟურნალები, ყურადღებას ვაქცევთ გაცდენებს, შეიცვალა შეფასების სისტემა, მეხუთე კი მანდატურების ინსტიტუტის შემოღებაა. შედეგად, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ სკოლებში არამარტო უმცროსკლასელები, არამედ უფროსკლასელებიც დადიან; ძალადობის ფაქტები 80%-ითაა შემცირებული. ეს სამინისტროს თითოეული თანამშრომლის 24-საათიანი მუშაობის შედეგია.

მოგვარდა ეს პრობლემები და შემდეგ გამოჩნდა გაურკვეველი ხალხი, რომელთათვისაც ასეთი წესრიგი და მიდგომა მიუღებელი აღმოჩნდა. ერთ-ერთ გადაცემაში ჩვენს წარმატებულ დირექტორს გია მურღულიას დაუსვეს შეკითხვა: სკოლებში არსებული დისციპლინა ბავშვების დაჩაგვრაზე ხომ არ იმოქმედებსო. საკითხავია, ნორმალურ ადამიანს რატომ უნდა გაუჩნდეს ასეთი შეკითხვა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბატონმა გიამ ძალიან კომპეტენტური პასუხი გასცა: „დისციპლინა არ ნიშნავს დაჩაგვრას, დისციპლინა ნიშნავს კანონის პატივისცემას“. თუ მეთორმეტეკლასელი კანონის პატივისცემას სწავლობს, ამაში არაფერია ცუდი. სახელმწიფო ხარჯავს განათლების სისტემაზე ძალიან ბევრ ფულს და მას აქვს უფლება, მოითხოვოს ბავშვისგან ის, რომ იაროს სკოლაში. ამიტომ ბავშვების პროტესტი ჩემთვის გაუგებარია.

**– ელოდით თუ არა, რომ მოსწავლეთა ნაწილი ამ ინიციატივის გამო პროტესტს გამოთქვამდა?**

– ნამდვილად ველოდით. მოლოდინი გვქონდა, რომ გამოცდების მიმართ მეთორმეტეკლასელებს პროტესტი გაუჩნდებოდათ, რადგან ძნელია 17-18 წლის ადამიანს გააგებინო, თუ რატომ არის აუცილებელი ამ გამოცდების ჩატარება. არის კატეგორია, რომელმაც ეს ადვილად გაიგო, თუმცა არიან ისეთებიც, რომელსაც ეს ვერ გავაგებინეთ. პირველ გიმნაზიაში ერთ-ერთმა მეთორმეტეკლასელმა მითხრა, რომ ჩვენ ყველას კარგად გვესმის, გარკვეული დაძალების გარეშე ზოგადი განათლების მიღება შეუძლებელიაო. დღევანდელ შეხვედრაზე ბავშვებსაც ვუთხარი: რომ არ მქონდეს გარკვეული ვალდებულებები ოჯახის წინაშე, რომ არ მქონდეს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე, დიდი სიამოვნებით დავჯდებოდი სახლში და უახლეს კომპიუტერულ თამაშს ვითამაშებდი. მაგრამ ვალდებულებებს ვერსად გავექცევი. საატესტატო გამოცდები არის ერთ-ერთი გზა ზოგადი განათლების დონის ასამაღლებლად. პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ვაღიარეთ ის შეცდომები, რომელიც ადრე დავუშვით. სამწუხაროდ, ის ხალხი, რომლებმაც გასულ წლებში ეს შეცდომები დაუშვა, ახლა მე მაბრალებს, ბავშვები სკოლაში რომ არ დადიოდნენ. მინდა ყველას შევახსენო, კონკრეტულად ის ადამიანი, რომელიც ბრალს მდებს, ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის ხელმძღვანელი იყო. მას პირდაპირ ევალებოდა იმ პრობლემების მოგვარება, რაც მაშინ განათლების სფეროში არსებობდა. ეს ცენტრი განსაზღვრავდა განათლების სისტემის იდეოლოგიას და მას ყველანაირი ბერკეტი ჰქონდა სიტუაციის გამოსასწორებლად. ამიტომ იმის დაბრალება, რომ ბავშვები ჩემ გამო არ დადიოდნენ სკოლებში, მართლა უნამუსობაა.

**– საატესტატო გამოცდების მოხსნის მოთხოვნით საპროტესტო აქციებში მონაწილე მოსწავლეებმა საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბეს და გუშინ თქვენთან შეხვედრა ითხოვეს. მოგმართეს თუ არა ოფიციალური განცხადებით და აპირებთ თუ არა მათთან შეხვედრას?**

– მეთორმეტეკლასელებთან დღეს გამართულ შეხვედრაზეც ვთქვი და სულ ვამბობ, რომ მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, დირექტორებთან კომუნიკაციის არანაირი პრობლემა არ მაქვს. მათთან კავშირის დასამყარებლად შუამავალი ნამდვილად არ მჭირდება. ჩემი ყოველი დილა იწყება იმით, რომ სკოლებში დავდივარ, ვეცნობი პრობლემებს და ვაკეთებ ყველაფერს, რათა ეს პრობლემები გადაწყდეს. ამიტომ არანაირი შუამავალი, რომელიც მეტყვის, რომ 60 000 მოსწავლისა და 70 000 პედაგოგის სახელით ილაპარაკებს, არ მჭირდება – ამ ხალხთან მე მაქვს უშუალო ურთიერთობა.

**– ბატონო დიმიტრი, როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ჟურნალისტებთან საუბრისას თქვეს, მათ თქვენთან შეხვედრა ყველანაირი შუამავლის გარეშე სურდათ...**

– ეს არის მცდელობა, რომ მოსწავლეებსა და სამინისტროს შორის შუამავლის სახით რაღაც არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები გაჩნდეს, რაც ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება. კიდევ ერთხელ ვამბობ, უშუალო ურთიერთობა გვაქვს და ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია სამინისტროში მოვიდეს, ბოლოს და ბოლოს, მინისტრი, მისი მოადგილეები და დეპარტამენტის ხელმძღვანელები ყოველდღიურად დადიან სკოლებში. მეორე საკითხი ისაა, თუ რა დგას ამ ყველაფრის უკან: შეიძლება ნებისმიერი რამე გააპროტესტო, მაგრამ პროტესტის გამოთქმა იმის გამო, რომ სწავლა არ გინდა, არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. რას ამბობენ და რას ასახელებენ არგუმენტად? ამბობენ, რომ სწავლა არ უნდათ...

**– თქვენს მიერ ნახსენებ მოსწავლეებთან ერთად არიან ისეთებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გამო მათზე ზეწოლა ხორციელდება. 157-ე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა მიხეილ ცხადაძემ სახალხო კრების ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ აქციის გამართვის შემდეგ სკოლიდან გარიცხვით დაემუქრნენ. ამასთან, 8 საჯარო სკოლის დირექტორების გათავისუფლებასთან დაკავშირებით განაცხადეთ, რომ მათ საკუთარი ნებით დატოვეს თანამდებობები და სამინისტრო ამ პროცესში არ ჩარეულა. გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციამ თუ კერძო პირმა გაახმოვანა, საპროტესტო აქციების შემდეგ დირექტორები თქვენს სამინისტროში დაიბარეს და გენინსპექციის წარმომადგენლებმა მათ გადადგომაზე განცხადება დააწერინეს...**

– როგორ შეიძლება ვინმეს გადადგომის შესახებ განცხადება დააწერინო? 2200 დირექტორია, 600 ათასი მოსწავლე და 70 ათასი მასწავლებელი, ნუთუ შესაძლებელია, ხალხის ამხელა რაოდენობის დაშინება?

**– ბატონო დიმიტრი, ფაქტია, რომ 8-ვე საჯარო სკოლის დირექტორმა გათავისუფლების შესახებ განცხადება ერთდროულად დაწერა...**

– 8 დირექტორიდან ერთ-ერთმა, 161-ე სკოლის დირექტორმა გააკეთა კომენტარი და ამ კომენტარისთვის არავის მიუქცევია ყურადღება.




იხ. 5 გვ.

პოლემიკა

# ბათუმის ბოტანიკური ბაღის ახალი სახე

**მიმდინარე წლის 21 ოქტომბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რუბრიკით „მწვანე ტრაგედია“ გამოქვეყნდა წერილი „ხელისუფლების უპასუხისმგებლობა-დაუდევრობით შექმნილი ორხელისუფლებიანობა და ყოველივე ამის შედეგად გაფუჭებული საქმე — ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაღუპვის პირასაა მცენარეთა 533 სახეობა“.**

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ან სმენია უმშვენიერეს ბათუმის ბოტანიკურ ბაღზე, გულგრილად ვერ წაიკითხავდა ამ წერილს. სწორედ ამიტომ ჩვენ, ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებს არ შეგვიძლია უპასუხოდ დავტოვოთ აღნიშნული წერილი (თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი არასასიამოვნო და ცილისმწამებლური პუბლიკაციისთვის შეგნებულად არ გაგვიცია პასუხი. მოვერიდეთ ვიღაცის ასაკს, ვიღაცის „წონას“, ვიღაცის რეპუტაციას და ა.შ.)

ბოლო წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული რეორგანიზაციები ბათუმის ბოტანიკურ ბაღსაც შეეხო, რასაც სტატუსის (იმედია, დროებით) შეცვლა მოჰყვა. დამეთანხმებით ალბათ, იმასთან შედარებით, რომ უამრავი საწარმოდაწესებულება საერთოდ გაქრა, ბოტანიკური ბაღისათვის დროებით ჩამოშორებული სამეცნიერო სტატუსი (რომელიც 2011 წლიდან, იმედია, აღდგება) ქვეყნის დაქცევას და ბაღის განადგურებას არ უნდა ნიშნავდეს. მით უმეტეს, რომ ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, მის კოლექტივს, ერთი დღითაც კი არ შეუწყვეტია სამეცნიერო საქმიანობა და საერთაშორისო ურთიერთობები.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაარსებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს 2012 წელს, მისი ზედა და ქვედა პარკების ტერიტორიაზე განლაგებული უცხო ქვეყნებიდან ინტროდუცირებული მცენარეები კი უფრო ასაკოვანია. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ იქნება, თუ რამდენიმე მცენარე წაიქცა, დაზიანდა ან გახმა.

წერილში და სათაურშივე აღნიშნული ე.წ. „გაფუჭებული საქმისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დაღუპვის პირას მცენარეთა 533 სახეობის“ შესახებ მრავალი უზუსტობიდან, რამდენიმე განმარტება გვსურს მივაწოდოთ საზოგადოებას.

**თ. ცხოიძე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დენდროლოგი:** — ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარდა 1985 წელს. ცნობისთვის მინდა გითხრათ, რომ ზოგჯერ კოლექციიდან ეგზოტური სახეობების ამოვარდნა ჩვეულებრივი მოვლენაა, ვინაიდან ზოგიერთი ეგზოტური მცენარე, რომელიც თითქოს შეეგუა ჩვენს პირობებს, გამოირჩევა ნაკლები ადაპტაციის უნარით ან ნაკლები სიცოცხლის ხანგრძლივობით, ვიდრე თავის სამშობლოშია და იღუპება. ძირითადად სწორედ ამ პრობლემების კვლევა მიმდინარეობს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 1912 წლიდან დღემდე და სწორედ ამიტომ ხდება მუდმივი განახლება, ანუ რეინტროდუქცია ერთეული, დაღუპვის პირას მყოფი ან დაღუპული მცენარეებისა. ბაღში ყოველწლიურად ხდებოდა და ხდება აღნიშნული მცენარეების თესლით, კალმით, გადაწვენით, ამონაყარით გამრავლება და შესაბამის ფლორისტულ განყოფილებებში მათი გადატანა. ბაღში ეგზოტების უმდიდრესი კოლექციითაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ფლორისტული განყოფილებები, შედარებით ნაკლები მრავალფეროვნებით გამოირჩევა სამხრეთი ნახევარსფეროდან ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთი ამერიკის ფლორისტული განყოფილებები, რომელთა ბუნებრივი პირობები ჩვენგან მკვეთრად განსხვავებულია. რაც შეეხება იმას, თუ რამდენი მცენარე ამოვარდა ან დაღუპვის პირასაა 1985 წლის ინვენტარიზაციიდან დღემდე, ვერ გეტყვით, ვინაიდან ამჟამად მიმდინარეობს ბაღის ცოცხალი კოლექციის ინვენტარიზაცია და ეს შედეგები მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ იქნება ცნობილი. ამ ხნის მანძილზე (25 წ.) ჩვენმა მცენარეებმა მრავალი ყინვიანი და თოვლიანი ზამთარი, ასევე ცხელი ზაფხული გადაიტანა. ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებში 2008 წლიდან დღემდე დარგულია 224 სახეობის 1044 ძირი მცენარე, მათგან ბაღის კოლექციისათვის სრულიად ახალია 22 სახეობა.



**მარინე თათარიშვილი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:** — ამჟამად, პარკების გარდა, მეთვალყურეობას ვუწევ მცენარეთა ინტროდუქციის სანერგეს, სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ბაღის კოლექციის გაახლებისა და გაზრდის მიზნით გამრავლებული გვაქვს 135 სახეობა და ჩათესილია 785 სახეობის თესლი, მათგან 85 ადგილობრივი რეპროდუქციისაა.

ბაღი 1998 წლიდან გახლავთ ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (BGCI) წევრი, რომელიც აწევრიანებს 2000-მდე ბოტანიკურ ბაღს. ეს ნიშნავს იმას, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღი სავსებით აკმაყოფილებს აღნიშნული საბჭოს მოთხოვნებს. უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ბაღის კოლექცია გამდიდრდა ადგილობრივი ფლორის 110 იშვიათი, ენდემური და რელიქტური სახეობით, მათ შორის 16 მერქნიანი მცენარეა. გაშენდა ადგილობრივი პეტროფილური ფლორის ალპინარიუმი.

**გიული გელაძე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:** — საქართველოში ციტრუსოვანთა კოლექცია შენარჩუნებულია მხოლოდ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, სადაც ყოველწლიურად მიმდინარეობს განახლება და ახალი სახეობებით შევსება. ბოლო 3 წლის მანძილზე ბაღის კოლექცია შევსებულ იქნა ციტრუსოვანთა 12 ახალი სახეობითა და ჯიშით, ხოლო ხეხილ-კენკროვანთა კოლექცია ხეხილოვნების 9 ჯიშით.

**მარია ოვჩინიკოვა, ნანი კონცელიძე:** — ბათუმის ბოტანიკურ ბაღს 400-მდე ბოტანიკურ დაწესებულებასთან ჰქონდა ურთიერთობა (მათი უმრავლესობა საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებს ეკუთვნოდა). საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ გარკვეული პერიოდის მანძილზე ეს ურთიერთობები დაირღვა, მაგრამ ბოლო წლებში დაიწყო და დღეისათვის აღდგენილია ურთიერთობები 200-ზე მეტ ბოტანიკურ ბაღთან, მათ შორის ისეთებთან, რომლებთანაც ადრე არ გვქონია კავშირი. წელს მსოფლიოს 25 ბოტანიკური ბაღიდან მიღებულია 322 დასახელების თესლი. ჩვენი ბაღიდან 22 ბოტანიკურ ბაღს გაეგზავნა 158 სახეობის მცენარის თესლი, რომელთა რიცხვი წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება. ყოველწლიურად კეთდება თესლების ახალი კატალოგი. 2009-2010 წლის თესლების სიაში, დელექტუსი N38, გაცვლითი ფონდისათვის შესულია 764 სახეობის მცენარე. აღნიშნული კატალოგი გაიგზავნა მსოფლიოს ბოტანიკურ დაწესებულებებში 275 მისამართზე. წლის ბოლომდე გაკეთდება ახალი დელექტუსი N39 და მისამართების რაოდენობა გაცილებით გაიზრდება.

**ფერიდე ჩაიძე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:** — ვკურირებ აღმოსავლეთ აზიის, ჰიმალაის და მექსიკის ფლორისტულ განყოფილებებს. ბოლო 3 წლის განმავლობაში აღნიშნულ ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებში დაირგო 109 სახეობის 379 ძირი მცენარე, მათ შორის ახალია 15 სახეობა.

**მარიზა ბრეგვაძე, მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის უფროსი:** — ბოტანიკურ ბაღში 4 სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე მიმდინარეობს მუშაობა: მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის (ხელმძღვანელი — ვ.პაპუნიძე); ადგილობრივი ფლორის (ხელმძღვანელი — ნ.მემიაძე); მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის (ხელმძღვანელი — გ.გელაძე); მცენარეთა დაცვის (ხელმძღვანელი — ნ.ლეონიძე). 2008 წლიდან დღემდე ჩვენი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებულია 58 სამეცნიერო ნაშრომი, 23 სამეცნიერო ნაშრომი გადაცემულია გამოსაქვეყნებლად, ჩართული ვართ საერთაშორისო კონფერენციებში. ორმა მეცნიერ-თანამშრომელმა მოიპოვა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ხოლო ორი თანამშრომელი ჩაირიცხა დოქტორანტურაში, რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევებისათვის, სახეობების კონსერვაციისათვის, სანახაობითი და საგანმანათლებლო მიზნებისათვის დოკუმენტირებული ცოცხალ მცენარეთა კოლექცია, ჰერბარიუმი, თესლების ბაზა, ანუ ყველა ის პირობა, რომელიც ბოტანიკურ ბაღს მოეთხოვება მსოფლიოში.

**ეთერ მაჭუტაძე, ბოტანიკური ბაღის დირექტორი:** — ჩვენი მხრიდან გვინდა დავამატოთ ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბაღს არ ჰქონია ხელისუფლებისაგან ისეთი დიდი ყურადღება და მხარდაჭერა, როგორიც აქვს დღეს. ყველა ის პრობლემური საკითხი, რომლებიც წლების განმავლობაში თავმოყრილი იყო ბოტანიკურ ბაღში, მოგვარებული იქნა უშუალოდ დამფუძნებლის — მერიისა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დახმარებით, რომელიც ამავდროულად სრულფასოვნად აფინანსებს მას. ისტორიული მოვლენაა ის, რომ ბოტანიკური ბაღის მთავარი და დიდი ხნის პრობლემა — მოსახლეობის განსახლება — მთავრობისა და მეცენატის დახმარებით გადაწყდა. ამის წინა პირობაა მთავრობის მიერ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის უსასყიდლოდ გადმოცემული მიწის ნაკვეთი, ხოლო თვით სახლს ააშენებს ფონდი „ქართუ“, გარდა ამისა ბოტანიკურ ბაღში სხვა საკითხებთან ერთად მიმდინარეობს აღმშენებლობითი სამუშაოები, განათება, წყლის რეაბილიტაცია., საპირფარეშოების კეთილმოწყობა, ახალი სათბურების დამონტაჟება, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ საკმაოდ სოლიდურ მოგებას მოუტანს ბოტანიკურ ბაღს, მსუბუქი კვების ობიექტების ჩადგმა, ისტორიული შენობების კაპიტალური რემონტი, შემოღობვა და უამრავი სხვა, რომელსაც ახორციელებს საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ ჯგუფი და მისი უშუალო დამფუძნებელი ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რისთვისაც ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო კოლექტივის სახელით, და ყველა იმ ადამიანს რომელიც სათავეში უდგას ამ კეთილშობილურ საქმეს.

გარდა ამისა, ბოტანიკურ ბაღს აქვს საკუთარი შემოსავლები როგორც ტურიზმიდან, ასევე დამხმარე სანერგე მეურნეობიდან, საიდანაც ხდება მცენარეების რეალიზება, და შემოსული თანხა ხმარდება ბაღის კეთილმოწყობას.

სამწუხაროდ, გვინდა განვაცხადოთ, რომ წერილის ავტორი უნდა დაინტერესებულიყო მისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორით. ადგილზე გაცნობოდა რეალურ სურათს და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინა ანალიზი, რადგან აღნიშნულმა წერილმა გამოიწვია როგორც სამეცნიერო, ასევე მთელი საზოგადოების აღშფოთება.

დარწმუნებული ვართ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი ობიექტურად შეაფასებს ჩვენს საპასუხო წერილს და თუ რომელიმე საკითხი დარჩა პასუხგაუცემელი, ადმინისტრაცია მზად არის, დაინტერესებულ პირებს ადგილზე მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია.

და ბოლოს, ჩვენი საქმიანობის ეს ერთგვარი შემაჯამებელი წერილი მინდა დავასრულო იმ რწმენით, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ხელისუფლებისა და ქველმოქმედის დახმარებით კვლავაც გააგრძელებს საუკუნოვანი გამოცდილებისა და ტრადიციების კიდევ უფრო სრულყოფას, აქ არსებული სამეცნიერო და სამეურნეო მეთოდების დახვეწას, ახალი ინიციატივების დანერგვას და გვერდში დგომას სრულიად საქართველოსათვის.

**ა.(ა)იპ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის კოლექტივის სახელით დირექტორი**

**ეთერ მაჭუტაძე**

სიახლე

# „ყველგანმავალი“ მოწმობა

**დაცვის უმაღლესი ხარისხით აღჭურვილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობები საქართველოში მომავალი წლის ზაფხულიდან შემოვა.**

საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცნობით, ბარათი მფლობელის შესახებ გრაფიკული და ტექსტობრივი მონაცემების შემცველი ჩიპით იქნება აღჭურვილი, სადაც მითითებული იქნება მისი იურიდიული მისამართი, ფოტოსურათი, ხელმოწერა, ფაქსიმილე და თითების ანაბეჭდები. მოწმობა მრავალფუნქციური დანიშნულებისა იქნება, მისი გამოყენება პიროვნების დასადასტურებლად ინტერნეტითაც იქნება შესაძლებელი. საბუთი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით იქნება დამზადებული. აღნიშნული ღონისძიება ევროკავშირის პროექტის „საქართველოში კანონის უზენაესობის“ ფარგლებში განხორციელდება. მანამდე, როგორც ცნობილია, ჩვენში საზღვარგარეთის ბიომეტრიული ელექტრონული პასპორტები შემოიღეს, რომლებშიც ჩასმულ მიკროჩიპში, მფლობელის შესახებ პერსონალურ მონაცემებთან ერთად, ასევე დაცულია მისი ფოტოსურათი, ხელმოწერა და თითების ანაბეჭდები.

აღსანიშნავია, რომ წლეულს, ნოემბრის თვიდან მოყოლებული, გერმანიის სრულწლოვან მოქალაქეებზე პირადობის ელექტრონული მოწმობების გაცემა დაიწყეს, რომლებსაც საბანკო ბარათის ფორმატი აქვს. ამის თაობაზე გადაწყვეტილება გერმანიის ფედერალურ მიწათა წარმომადგენლობამ ბუნდესრატმა შარშან ზამთარში მიიღო. ამდენად, **გერმანია ევროკავშირის პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობები შემოიღო.**

უნდა ითქვას, რომ ახალ ელექტრონული პირადობის მოწმობებში მფლობელის შესახებ დაცული ბიომეტრიული მონაცემების გაცნობა მხოლოდ სასაზღვრო და იმ სამსახურთა წარმომადგენლებს შეეძლებათ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან პირადი საბუთების შესამოწმებლად. სურვილისამებრ, ელექტრონულ ფორმატში შესაძლოა შეტანილი იყოს მხოლოდ ორი თითის ანაბეჭდი. ამასთან, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ახალი ელექტრონული ვერსიის მთავარი თავისებურება ისაა, რომ რაიდ-ჩიპიდან მონაცემთა წაკითხვა დისტანციურადაც, დაახლოებით ორი მეტრის მანძილიდანაც იქნება შესაძლებელი.

საგულისხმოა, რომ ახალი პირადობის მოწმობების გამოყენება, მყიდველის იდენტიფიკაციის მიზნით, ინტერნეტით ონლაინვაჭრობის დროსაც იქნება შესაძლებელი. სათანადო მოწყობილობის ქონის შემთხვევაში, პირადობის ელექტრონულ ვერსიას საკრედიტო ბარათის ნომრის, პაროლის თუ პინკოდის შეცვლა შეეძლება. გარდა ამისა, ყველა მსურველს პირადობის მოწმობაზე თავისი ელექტრონული ხელმოწერის შენახვის შესაძლებლობა ექნება, რითაც ინტერნეტით სხვადასხვა სახეობის საბუთების დამოწმებას შეძლებს.

**დავით მერიშვილი**

◉ „ოროსნების“ პარადის ქვეტექსტები

# პატივცემულო მინისტრო, ნუთუ მართლა ასე ძნელია, რომ 17-18 წლის ახალგაზრდას გააგებინო, თუ რატომ არის აუცილებელი ამ გამოცდების ჩატარება?!

(მესამე გვერდიდან)

მან თქვა, თანამდებობა იმიტომ დატოვა, რომ ვერ უზრუნველყო გამართული სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. ერთ-ერთ არხზე თქვა, რომ ბავშვებს არ უნდათ სწავლა და გაკვეთილებს არ ესწრებიან, ამიტომ ჩემს თავს ვერ ვხედავ ამ სკოლაშიო. ამ კომენტარს რატომღაც არავინ აქცევს ყურადღებას. რაც შეეხება გენინსპექციას, მინისტრის არათუ უფლება, არამედ მოვალეობაა, რომ გენინსპექციის მეშვეობით გააკონტროლოს, ხდება თუ არა დარღვევები სკოლაში. სამწუხაროდ, სკოლაში გენინსპექციის შესვლა ზოგიერთ ადამიანს აცდუნებს, რომ ეს რაღაც აქციებს და ვითომდა ზეწოლის ფაქტებს მიაბას. გენინსპექციის მიერ სკოლების გაკონტროლება რუტინულია და ეს პროცესი გრძელდება, რადგან არც ერთ დირექტორს არ მივცემ საშუალებას, არამიზნობრივად გამოიყენოს სკოლებისთვის გამოყოფილი თანხა. დაშინებაზე მკითხეთ, მიპასუხეთ, ბავშვი როგორ შეიძლება დააშინო? ის ისეთი ინდივიდია, რომ ვერანაირად ვერ დააშინებ.

**— 157-ე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ აქციის გამართვის შემდეგ სკოლიდან გარიცხვით დაემუქრნენ.**

— თქვას მაშინ ვინმემ, გარიცხეს თუ არა სკოლიდან ბავშვები აქციაში მონაწილეობის გამო, მომიყვანოს ვინმემ ასეთი ბავშვები. გუშინ საღამოს ვნახე ტელევიზიით, თუ როგორ ლაპარაკობდა ბავშვი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ოფისში, რომ მასზე ზეწოლა ხორციელდება. დამაინტერესა და სამინისტროში გადავრეკე. გაირკვა, რომ ეს ბავშვი არის მეათეკლასელი და საატესტატო გამოცდებს წელს არც აბარებს. არადა, ზეწოლაზე საუბრობს. რაში სჭირდებათ პოლიტიკურ პარტიებს ასეთი იაფფასიანი ხერხებით პოლიტიკური დივიდენდების დაწერა? მეორე საინტერესო ფაქტი: ერთი გოგონაა, რომელიც თავად ამბობს, რომ კერძო სკოლაში სწავლობს და არ უსწავლია ესა თუ ის საგანი. მაინტერესებს, მისი მშობლები რაში იხდიან ფულს? შვილის უსწავლელობაში?

მთავარი ის არის, რომ მეთორმეტეკლასელების უმრავლესობა აბსოლუტურად ადეკვატურად აფასებს საატესტატო გამოცდებს. ერთ-ერთმა მოსწავლემ მითხრა, რომ არ ესმის, რატომ აპროტესტებს 20-30 ბავშვი ამ გამოცდებს. დაამატა, რომ წელს ყველაზე ადვილი იქნება ამ გამოცდების ჩაბარება, ისევე, როგორც ეს 2005 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველად ჩაბარების დროს მოხდა.

**— არსებობს მოსაზრება, მოსწავლეთა პროტესტი კიდევ უფრო მეტად იმან გაამძაფრა, რომ მათ „ოროსნები“, „უცოდინრები“ უწოდეს...**

— ბავშვი, რომელიც ამბობს, რომ არ უსწავლია და ვერ ჩააბარებს გეოგრაფიას, ქიმიას, არ იცის ისტორია და ის, თუ როდის დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, იმის ფონზე, რომ ამ ომს 300 000 ქართველი შეეწირა, ვერ ამბობს, თუ რომელი ქვეყნებია საქართველოს მეზობელი, ოროსანია. თუ გვინდა ასეთი თაობა გავზარდოთ და იმ საშიშროების წინაშე დავდგეთ, რაზეც წეღან ვისაუბრეთ, თუ გვინდა, რომ ბავშვებმა მხოლოდ მე-6 კლასამდე იარონ სკოლებში, მაშინ ის 570 მილიონი ლარი, რომელიც სახელმწიფოს მიერ განათლებაზეა გამოყოფილი და რისი 2/3-იც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე იხარჯება, სხვა რამეს მოვახმაროთ. მივიდეს საზოგადოება კონსენსუსამდე და საერთოდ თავი დავანებოთ ზოგადი განათლების სისტემას – გავუზარდოთ პენსიონერებს, სხვა დამსახურებულ ადამიანებს პენსიები და ხელფასები და მეც დავისვენებ, სკოლაც და მასწავლებელიც.

**— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ქადაგებისას ლმობიერი და კეთილშობილი ადამიანი გიწოდათ. ამასთან, იმედი გამოთქვა, რომ დირექტორებს თანამდებობებზე დააბრუნებდით. რამდენიმე დღის წინათ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეთ, დღეს ხომ არ ისურვებდით კომენტარის გაკეთებას?**

— როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, არანაირი უფლება არ მაქვს, პატრიარქის სიტყვებზე კომენტარი გავაკეთო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეც და მთელი სამინისტრო პატრიარქისგან ყოველთვის დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ და ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დედაეკლესიისა და პატრიარქისთვის განათლების საკითხები უმნიშვნელოვანესია. ამ სისტემაში არ ვიყავი და, შესაბამისად, არ შემიძლია ვილაპარაკო იმაზე, თუ რა იყო წარსულში, მაგრამ რაც მინისტრად დავინიშნე, ყოველთვის ვგრძნობ მისი უწმინდესობის მხარდაჭერას და ამას ჩვენ დიდად ვაფასებთ.

**მალხაზ ჭკადუა.**

◉ საგარეო ვალი

# არც პირველს მოუტანია სიკეთე და ვერც მეორე აგვაშენებს!..



## რას მოგვცემს ევრობონდების „მეორე ტალღა?“

***სახელმწიფოს** მიერ ობლიგაციების გამოშვება, რაც, არსებითად, ვალის აღებას ნიშნავს, ჩვეულებრივი პრაქტიკაა, ოღონდ გააჩნია, რა დროს იღებს მთავრობა თავისივე ხალხისგან თუ საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე სესხს და რა მიზნების განსახორციელებლად იხარჯება შემოსული სახსრები. ლონდონის საფონდო ბირჟაზე ევროობლიგაციები საქართველოს მთავრობამ პირველად 2008 წელს განათავსა. მაშინ, ლადო გურგენიძის პრემიერ-მინისტრობის დროს, საქართველომ ევრობონდებით 500 მილიონი დოლარის სესხი წლიურ 7,5 პროცენტად აიღო, ხოლო აღნიშნული ფასიანი ქაღალდების განთავსების შედეგად აღებული სესხის დაფარვა 2013 წელს გვიწევს, რომელი წელიც, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, საგარეო ვალის გასტუმრების თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმძიმესი იქნება.*

როგორც ირკვევა, საქართველოს მთავრობა 2011 წლისთვის კვლავ გეგმავს ლონდონის საფონდო ბირჟაზე ევროობლიგაციების განთავსებას, რისი მიზანი, სავარაუდოდ, ძველი ვალის მომსახურება უნდა იყოს, რომელიც მაშინ აიღეს, როცა ქვეყნის ბიუჯეტი პროფიციტური იყო, დადებითი საოპერაციო სალდო ჰქონდა და ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა ბენდუქიძისა და გურგენიძის ამ ინიციატივაში აუცილებლობის ვერანაირ აზრს ვერ ხედავდა. თუ რა ოდენობის ევროობლიგაციებს გაიტანენ ახლო მომავალში ლონდონის საფონდო ბირჟაზე, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თანაც 2011 წლის ბიუჯეტში მათგან შემოსასვლელი თანხა გათვალისწინებული არ არის. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ის, თუ რაში დაიხარჯა ორი წლის წინათ აღებული ის უზარმაზარი ვალი, დღემდე არავინ იცის.

ახალი საგარეო სესხის აღების საკითხს, რასაც, ფაქტობრივად, ევრობონდების საგარეო საფინანსო ბაზარზე განთავსება ნიშნავს, ექსპერტები ეხმაურებიან. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ **დამატებით საგარეო ვალდებულების ზურგზე წამოკიდება იმის ნიშანია, რომ მთავრობას შემოსავლის მობილიზება უჭირს, თუმცა კი ამას ღიად არავინ კისრულობს.** ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ექსპერტები მიუთითებენ, რომ **აღნიშნულ ფინანსურ ინსტრუმენტს მრავალი ქვეყნის მთავრობა მიმართავს და გაისად გამოშვებული ევროობლიგაციები ქვეყანას ისევე წაადგება, როგორც ეს 2008 წელს მოხდა. ახლა კი საქმეა მხოლოდ ობლიგაციების მთლიანი მოცულობის დადგენა.**

ამავე დროს, სახელისუფლებო წრეებში კატეგორიულად უარყოფენ მოსაზრებას, თითქოს 2011 წელს მთავრობას ევროობლიგაციების გამოშვება სახელმწიფო გადასახადების დასაბალანსებლად სჭირდება, რის არგუმენტად ბიუჯეტის გადასახდელებისა და შემოსულობების ერთმანეთთან შეფარდება მოჰყავთ. ასევე აცხადებენ იმასაც, რომ, სახელმწიფო ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, მთავრობის მიზანია სახელმწიფო ხარჯის შემცირება, რაც ეკონომიკის მდგრადობის საწინდარი უნდა გახდეს. **ევროობლიგაციების გამოშვების არსი ის არის, რომ ეროვნულ ეკონომიკას დამატებითი სახსრები მიეწოდოს, რაც მის განვითარებას შეუწყობს ხელს, ამას კი ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა ცდილობს, ოღონდ მიზნის მიღწევას სხვადასხვა გზით ცდილობს.**

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ **სახელმწიფოს მიერ ევროობლიგაციების გამოშვება და მათი საგარეო ბაზარზე, კერძოდ, საფონდო ბირჟაზე განთავსება, მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუკი ევროობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საპროცენტო მაჩვენებელზე დაბალია.** ორი წლის წინათ გამოშვებული ევროობლიგაციების მეშვეობით აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელი 7,5 იყო და თუკი ეს პირობა არ შეიცვალა, ანუ საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელმა თუ არ დაიწია, ვალის გადახდა საქართველოს უმძიმეს ტვირთად დააწვება, რისი თქმის საფუძველს ის გარემოება გვაძლევს, რომ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, გაისისთვის ეკონომიკის ზრდის ტემპი მხოლოდ 5,5 პროცენტითაა განსაზღვრული.

როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, საგარეო ვალის გასტუმრების მხრივ ახლო მომავალში საქართველოსთვის სხვებთან შედარებით გაცილებით მძიმე იქნება 2013 წელი, როცა ნახევარი მილიარდი დოლარი გვექნება გასასტუმრებელი, რასაც მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ვერ გასწვდება. ამის გათვალისწინებით, ერთგვარ გაკვირვებას იწვევს სახელმწიფო ობლიგაციების გაისად და არა საგარეო ვალის ნაწილის თარიღთან უფრო ახლოს, 2012 წელს გამოშვების თარიღი, რომლითაც ვალს, როგორც აღვნიშნეთ, 8-13 წლით, სავარაუდოდ კი უფრო დიდი ხნით ავიღებთ, რაც, ფაქტობრივად, იმავე ვალის გადავადებას, ოღონდ უკვე დაგროვილი პროცენტების გასტუმრებით ნიშნავს.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ 7,5-პროცენტიანი სესხი საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე საკმაოდ მაღალი განაკვეთია. ამდენად, იმედი უნდა გვქონდეს, რომ **ახალი ევრობონდებით აღებული საგარეო ვალი უფრო მაღალპროცენტიანი განაკვეთით არ იქნება „დახუნძლული“. ასევე გონივრულად იქნება განსაზღვრული მისი გასტუმრების ვადა, რაში იქნება დაბანდებული ეს სახსრები და რამდენად ეფექტიანი იქნება მათი უკუგება.**

ამდენად საქართველოს მიერ ახალი ევროობლიგაციების განთავსების ავ-კარგი ამ მონაცემების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, რომელთა შესახებ სადღეისოდ ბევრი არაფერია ცნობილი. ამიტომ, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ევრობონდების, ასე ვთქვათ, „მეორე ტალღის“ სარგებლიანობის კოეფიციენტის დასადგენად, მთავრობამ საზოგადოებრიობას შემოსავალი სახსრების ხარჯვის კონკრეტული გეგმა უნდა წარუდგინოს. თუმცა, გასული წლების პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ მოლოდინის გამართლების შანსი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. უფრო მეტიც: თუ სახელმწიფოს მხრიდან კერძო მეწარმეობის განვითარებისადმი მიდგომას გავითვალისწინებთ, რისი ნათელი დადასტურება თუნდაც ახალი საგადასახადო კოდექსის ზოგიერთი მუხლია, რომელიც ძირშივე თხრის მცირე და საშუალო ბიზნესს, ევროობლიგაციების განთავსებიდან შემოსული თანხების ხარჯვა ნამეტნავად გასაიდუმლოებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, კონკრეტულად გაუწერელი იქნება, რაც, ფაქტობრივად, საჯარო სახსრების უკონტროლოდ ხარჯვას მოასწავებს. ეს კი ჩვენი ისედაც დუხჭირი ცხოვრების ოდნავ მაინც შემსუბუქების პერსპექტივას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

**ოთარ ტურაზელიძე**

◉ ინფორმაცია

### „ირანის დაშინება ემბარგოთი შეუძლებელია“

**ირანი თავისი ბირთვული პროგრამის ირგვლივ მოლაპარაკებებისათვის მზადაა. ეს განცხადება ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა გააკეთა.**

**— ჩვენ ყოველთვის ვიყავით მოლაპარაკებების მომხრეები და ყოველთვის დიალოგის მხარეს ვიდექით, — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ მოლაპარაკებების დრო ამჟამად დგინდება.**

**— რაც შეეხება მოლაპარაკებების ჩატარების ადგილს, ირანული მხარე სტამბოლს ასახელებს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე - ჟენევას, — აცხადებს აჰმადინეჯადი.**

**— თუკი მათ სურთ, რომ მოლაპარაკებები წარმატებული იყოს, მათ უარი უნდა თქვან ექსპლუატატორულ აზროვნებაზე. იმ შემთხვევაში, თუკი ისინი კვლავ ძველი მეთოდებით დაიწყებენ ხელმძღვანელობას, ამისგან არაფერი არ გამოვა, — აცხადებს ირანის პრეზიდენტი.**

**მისივე თქმით, „ირანის დაშინება ემბარგოთი შეუძლებელია. ირანი თავისი გზით მიდის“, — აცხადებს აჰმადინეჯადი.**

### მიიღებს ევროპა ირანის შეთავაზებას?

**ირანი აზერბაიჯანთან გაზის ყიდვა-გაყიდვისა და შემდგომ მისი ევროპაში ტრანზიტის საკითხებში ხანგრძლივვადიანი თანამშრომლობისათვის მზადაა. ეს განცხადება ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

**— ირანი ამ სფეროში ხანგრძლივვადიანი თანამშრომლობისათვის მზადაა. ჩვენ ორმხრივ საფუძველზე გაგვაჩნია შესაბამისი შეთანხმებაც, რომელიც იძლევა საშუალებას შეუფერხებელი თანამშრომლობისა. ევროპული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ირანული გაზის შესყიდვით. ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ მათ ჩვენგან გაზი იყიდონ, იმიტომ რომ ჩვენ ისედაც ბევრი მყიდველი გვყავს. თუმცა, თუკი ევროპელებს ირანისაგან გაზის ყიდვა სურთ, მათ ამის ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი უნდა მოსპონ. თუკი მათ ჩვენი გაზი უნდათ, მზად ვართ მივყიდოთ მისაღებ ფასში, — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა თუმცა არ დააკონკრეტა, თუ რა წინააღმდეგობები უნდა მოსპონ ევროპულმა ქვეყნებმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ვარაუდი

# თუ ყარაბაღში საომარი მოქმედებები დაიწყება, ამით პუტინი ისარგებლებს და საქართველოში ხელისუფლების შეცვლას შეეცდება





**საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრში აშშ-ის სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის წამყვანმა მკვლევარმა და ახალი ევროპული დემოკრატიების პროექტის დირექტორმა იანოშ ბუგაისკიმ 16 ნოემბერს წაიკითხა მოხსენება თემაზე – „ქართული გაკვეთილები. რუსულ და დასავლურ ინტერესთა კონფლიქტი ფართო ევროპაში“.**

**„2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი და პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსკოვის მიერ წარმოებული პოლიტიკა უპირველესად პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის დომინირების სურვილსა და ამბიციებს უკავშირდებოდა. რუსეთი აგრძელებს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პრაგმატული იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებას“.** – ასე დაიწყო თავისი მოხსენება ამერიკელმა ექსპერტმა იანოშ ბუგაისკიმ, რომლის განმარტებითაც, რუსეთის ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცეში კვლავ ცენტრად ყოფნა და ამავე სივრცეში აშშ გავლენის ზრდის შეჩერებაა.

მისი აზრით, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევამ და საზღვრების შეცვლამ დააკნინა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, როგორიცაა გაერო, ევროკავშირი, ეუთო და საფრთხე შეუქმნა დასავლეთის უსაფრთხოებას. აგვისტოს ომით ნატოს აღმოსავლეთის გაფართოება არ შეფერხებულა, თუმცა, ფაქტია, რომ რუსეთი შეეცადა ნატოს გაფართოებაზე ზღვრის დაწესებას. მაგრამ იმ ქვეყნებს, რომლებსაც საბოლოოდ არ გადაუფიქრებიათ ალიანსში გაწევრება, ასეთ შესაძლებლობას სამომავლოდ ინარჩუნებენ. თუმცა, ომმა ნატოს რიგ წევრებს აღმოსავლურ გაფართოებაზე აზრი გარკვეულწილად შეაცვლევინა.

ბუგაისკი მიიჩნევს, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის დაწყებული გადატვირთვის პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთმა დასავლეთთან თანამშრომლობისთვის ახალი სტრატეგია შეიმუშავა ირანის, ავღანეთისა და ევროპული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის საკითხებში. გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე რუსეთმა დასავლეთს მიანიშნა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი ინტერესების დასაცავად საკმაოდ ბევრი ბერკეტი გააჩნია და იგი დასავლეთთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას იმ პირობით თანხმდება, რომ დასავლეთი საქართველოს საკითხში მის მიმართ ზედმეტად მომთხოვნი არ იქნება.

იგი დარწმუნებულია, რომ აშშ-რუსეთის თანამშრომლობა ისეთ ღირებულებებს, რომელსაც ნატოს ქვეყნები იზიარებენ, იმის გამო არ ეფუძნება, რომ ამ დროისთვის რუსეთში დასავლური დემოკრატიული ღირებულებები გაზიარებული არ არის. რუსეთი აგრძელებს იმგვარი პოლიტიკის გატარებას, რომ მეზობლები ეკონომიკურად სუსტები იყვნენ, არ განვითარდნენ და სულ დაძაბულობაში იყვნენ. ამის კარგი მაგალითია მოსკოვის ბაქოსთან და ერევანთან ურთიერთობა. რუსეთს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების ერებს შორის დაპირისპირება ხელს აძლევს. რისი ნათელი მაგალითია ის, რომ მოსკოვი ყირგიზეთში უზბეკებსა და ყირგიზებს შორის ეთნოკონფლიქტში არ ჩაერია.

ექსპერტმა ასევე ვრცლად ისაუბრა რუსეთის შიდა და გარე სისუსტეებზეც. მისი შეფასებით, რუსეთს უამრავი შიდა პრობლემა აქვს. ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი დემოკრატიულ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და ინვესტიციების ნაკლებობა ეკონომიკური სექტორის განვითარებას აფერხებს. ბუგაისკის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის სივრცეში დეზინტეგრაციული პროცესები ჯერ არ დასრულებულა, რუსეთი ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნით ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის გატარებას ცდილობს. რუსეთის სისუსტეებად ექსპერტმა შემდეგი სფეროები დაასახელა: დემოგრაფიული პრობლემები, ეკონომიკური სისუსტე, საბჭოთა პერიოდთან შედარებით სამხედრო ლიმიტების ნაკლებობა, საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის დაუსრულებლობა. მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად კრემლი მხარს უჭერს საქართველოსა და აზერბაიჯანის სეპარატისტულ რეგიონებს, დნესტრისპირეთს და ყირიმში არაკონსტრუქციულ ნაბიჯებს დგამს.

იანოშ ბუგაისკი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა ობამამ უნდა ჩამოაყალიბოს, როგორც გლობალურ საკითხებში რუსეთთან ურთიერთობის კონცეფცია, ისე მოსკოვთან რეგიონალური თანამშრომლობის ხედვა. ამ საკითხებზე თანამშრომლობის ფარგლებში აშშ-სთვის მთავარია როგორც ახლო აღმოსავლეთიდან საფრთხის შეკავება, ისე იმაზე ზრუნვა, რომ დასრულდეს გავლენის სფეროებზე საუბარი, დაიცვას კასპიის აუზის ენერგომატარებლების ტრანზიტი, განავითაროს კავკასიის გავლით ჩინეთ-ცენტრალური აზიის ეკონომიკური კორიდორი.

პარალელურად, ვაშინგტონმა რუსეთისაგან უნდა მოითხოვოს მეტი დემოკრატია, გამჭირვალობა ხელისუფლების არჩევასა და საქმიანობაში, ეკონომიკაში ღია კონკურენტული გარემოს შექმნა, კორუფციასთან ბრძოლა და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვა.

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ რუსეთთან მიმართებაში სტრატეგიული მოთმინება უნდა გამოიჩინოს როგორც დასავლეთმა, ისე საქართველომ. მანამდე კი უნდა გაგრძელდეს ნატოს გაფართოება. მისივე თქმით, რუსეთისაგან სამართლებრივ ნორმებში მოქმედებას არავინ ელოდება, მაგრამ ამ თვალსაზრისით შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს 2012 წლისთვის რუსეთში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები.

**„დასავლეთი ყურადღებას კი ამახვილებს რუსეთის შიდა პრობლემებზე, მაგრამ ევროპა ვერ დაელოდება რუსეთის დემოკრატიზაციას და უნდა იმოქმედოს, რათა რუსეთი მეტად იყოს ჩართული საერთაშორისო სტრუქტურებში“.** – შენიშნავს ექსპერტი, რომლის აზრითაც, პარალელურად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავის დაცვის საშუალება. მათ შორის საქართველოსაც, რათა მან საჭიროების შემთხვევაში მოახერხოს თავისი ტერიტორიის აგრესიისაგან დაცვა.

აშშ-ის სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის წამყვანმა მკვლევარმა იანოშ ბუგაისკიმ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებითაც. მისი შეფასებით, თანამედროვე რუსეთი ნეოიმპერიალისტური და არა კლასიკური იმპერიალიზმის ქვეყანაა. რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში თბილისი იმის გამო არ აიღო, რომ რუსეთის ლიდერებს შორის იყო დებატები თბილისის აღება-არაღების თემაზე. ერთი ლიდერი თბილისის აღებას უჭერდა მხარს, მეორე მიიჩნევდა, რომ საქართველო ჩეჩნეთი არ არის და ამას დასავლეთის მკვეთრი რეაქცია მოჰყვებოდა. მისივე თქმით, თბილისის არაღების ერთ-ერთი მოტივაცია ისიც იყო, რომ დასავლეთმა მაშინ კრემლს ამ საკითხზე მართლაც სერიოზული მესიჯები გაუგზავნა.

ექსპერტის აზრით, რუსეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ომის შედეგად სააკაშვილი ხელისუფლებიდან წავიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მისივე შეფასებით, რუსეთს თბილისი კიდეც რომ აეღო, იგი საქართველოს ისე ვერ მართავდა, როგორც საბჭოთა კავშირის დროს.

კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ სამხედრო აგრესიის განახლება? – იანოშ ბუგაისკიმ ასე უპასუხა – რუსეთმა შეიძლება ირიბად გამოიყენოს ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის, თუმცა, რეალურად 2012 წლის არჩევნებამდე რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომის დაწყება გამორიცხულია. მან საქართველოს საფრთხეების სავარაუდო სცენარად მიიჩნია 2012 წელს პუტინის გაპრეზიდენტება.

**„თუ 2012 წელს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი გახდა, გამორიცხული არაა ყარაბაღში საომარი მოქმედებების დაწყება. თუ ყარაბაღში ომი დაიწყო, პუტინი ამით ისარგებლებს და საქართველოში ინფრასტრუქტურის განდგურებისა და ხელისუფლების შეცვლას შეეცდება. რუსეთს კავკასიაში დიდი ომი არ აწყობს, ამიტომ შესაძლოა, პუტინი საქართველოში ხელისუფლების შეცვლის გზას დასჯერდეს“** – განაცხადა იანოშ ბუგაისკიმ.

მისივე შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ბუშისა და ობამას პოლიტიკა საქართველოს მიმართ განსხვავდება, საქართველო აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად რჩება. ეს დასტურდება კლინტონისა და ობამას ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტებითაც. ამიტომ, მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების პერსპექტივა მაინც ნაკლებადსავარაუდოა, მაგრამ ვიდრე რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა არ არის, კრემლისაგან გამორიცხული არაფერია.

**კობა ბენდელიანი**

**„ინტერპრესნიუსი“**

## ვინ როგორ ფიქრობს

# ოპოზიციას ნამდვილი ლიდერი სჭირდება

***ლიდერობა ისეთივე ძველი ცნებაა, როგორც კაცობრიობა. პოლიტიკური ლიდერობა, უპირველეს ყოვლისა ესაა ძალაუფლება, რომელსაც ახორციელებს ერთი ან რამდენიმე ინდივიდი, რათა ერი სამოქმედოდ განაწყოს. ლიდერი ყალიბდება და მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად. კონკრეტული გარემოება და ვითარება განაპირობებს ლიდერთა შერჩევას. პიროვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება სხვათა ლიდერი თუ გამოხატავს მათ ინტერესებს და ხელს შეუწყობს მათი მიზნების აღსრულებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არსებობენ ავტორიტარული და დემოკრატიული ლიდერები, მაგრამ ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ძალიან უყვართ და მოსწონთ ქარიზმატული ლიდერები.***

***ქართველი ოპოზიციონერების უნიათობასა და უმოქმედობას ხშირად მიაწერენ ლიდერის არყოლას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორად ბრძანა მიხეილ სააკაშვილმა, რომ მისი ოპოზიციაში ყოფნის პირობებში ორი თვის განმავლობაში დაანგრევდა ამ ხელისუფლებას. ამით პრეზიდენტმა თვითონ გაასამტვერა მითი მისი ხელისუფლების უძლეველობის შესახებ. ნამდვილი ოპოზიციისა და ლიდერის არსებობის პირობებში შესაძლებელი ყოფილა ამ ხელისუფლების სახლში გაშვება, ხომ არ არის სწორედ ოპოზიციის ბრალი ლიდერის არ ყოლა? ვინ შეიძლება მივიჩნიოთ ოპოზიციის ლიდერად? ამ კითხვებით მივმართე ზუგდიდელებსა და ზუგდიდში განთავსებულ დევნილებს.***

**თენგიზ ხარჩილავა – ზუგდიდელი ეკონომისტი:** „ჩვენი ოპოზიცია არის უპრინციპო, რაც გამოიხატება ხალხის მოტყუებაში. რა თქმა უნდა, საქართველოში ისტორიულად ლიდერები ქმნიდნენ პოლიტიკას. დღეს ოპოზიცია ულიდეროდ მოქმედებს, ამიტომაც არ გამოსდით არაფერი. სანამ არ გამოჩნდება ისეთი პიროვნება, რომელიც მართლაც იქნება ქართველი ხალხის ნების გამომხატველი, ჩვენი ქვეყნის საშველი არ იქნება“.

**გურამ გოგია – ზუგდიდელი ელექტრიკოსი:** „ოპოზიცია გაყიდულია, ხელისუფლებისაგან იღებენ ფულს. მე 7 ნოემბრის აქციის მონაწილე ვარ. ოპოზიციის მოქმედების გამო გულგატეხილი ვარ. ამათ არსად არ გავყვები. იმედია, გამოჩნდება ვინმე ისეთი პიროვნება, ლიდერი, რომელიც მართლაც იქნება ჩვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი“.

**გურამ (ცაცა) შელია – ყოფილი პარლამენტარი:** „დაქსაქსული ოპოზიციის შეკვრა, გაერთიანება სწორედ, რომ ძლიერ ლიდერს შეუძლია. საქართველოს სჭირდება ქარიზმატული ლიდერი, ისეთი როგორიც ზვიად გამსახურდია იყო. ამ ეტაპზე სხვასთან შედარებით შეიძლება ვენდოთ გუბაზ სანიკიძეს, თუმცა მივესალმები თუ უკეთესი ლიდერი მოევლინება ოპოზიციას“.

**გენო ბერიშვილი – ოჩამჩირის მკვიდრი, საქონელმცოდნე:** „ოპოზიციის უმოქმედობა ერთად არყოფნის ბრალია. ძალიან მინდა გამოჩნდეს ერთი გამოკვეთილი ლიდერი. ამჟამინდელი ე.წ. ლიდერები ყველა გასვრილები არიან „ფორუმელების“ გარდა. უნდა აღვნიშნო რომ ძალიან მომწონს ჩემი თანაქალაქელი ალექსანდრე ჭაჭია. ახლოს ვიცნობ მის ოჯახს, კარგი მამის შვილია, ვკითხულობ მის ყველა სტატიას, ის ახლა სჭირდება საქართველოს. ჩემი აზრით, მას შეუძლია საქართველოს დაუბრუნოს დაკარგული ტერიტორიები“.

**ვახტანგ ქეცბაია – გალის მკვიდრი, ინჟინერი:** „ჩვენ, დევნილები არც ხელისუფლებას ვახსოვართ და არც ოპოზიციას. ყველანი იმედგაცრუებულნი ვართ ოპოზიციის მერყევი მოქმედებების გამო. ნუთუ არ იციან, როგორ არიან სახელგატეხილნი, ახლა ისევ უნდათ ჩვენს ნერვებზე ითამაშონ? ნუთუ არ გამოჩნდება ახალი ძალა, ახალი ლიდერი, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის?!

**ლადო ქირია.**

**ზუგდიდიდან**

◎ მკითხველის პასუხად

# „ლატავრა“ უთუოდ იმსახურებს დადგმას

მეჭვი არ მეპარება, რომ ყველა ქართველისთვის, და, ალბათ, არა მარტო ქართველთათვის, უსაყვარლესი ოპერებია ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. ოღონდ ჩემსავით უთუოდ ბევრია გაოცებული, ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე რატომ არ იდგმებმა ზ. ფალიაშვილის მესამე ოპერა — „ლატავრა“, რომელიც, არა მგონია, რომ ესოდენ უყურადღებობას იმსახურებდეს. კარგი იქნება, თუ ვინმე სპეციალისტი უპასუხებს ამ ჩემს კითხვას.

პატივისცემით ნათელა გულაშვილი. ქ. კასპი

**მკითხველის წერილს უპასუხებს ცნობილი მუსიკისმცოდნე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი გულბათ ტორაძე.**

**დავიწყებ იმით, რომ სასიამოვნოდ გამაკვირვა ჩვენი გაზეთის მკითხველის ქ-ნ ნათელა გულაშვილის წერილმა, რომელიც იმის შესახებ მეტყველებს, რომ პროფესიონალ მუსიკოსთა გარდა, არსებობენ კიდევ ქართული სერიოზული (კლასიკური) მუსიკის ბედიღბლით დაინტერესებული ადამიანები! მეტსაც ვიტყოდი, თვით თანამედროვე მუსიკოს-პროფესიონალთა შორისაც, დღესდღეობით არ მეგულება არავინ, ვინც აქტუალურად ჩათვლიდა საუბარს ჩვენი უდიდესი კლასიკოსი კომპოზიტორის — ზაქარია ფალიაშვილის მესამე, თითქმის მივიწყებული საოპერო ქმნილების „ლატავრას“ (1927) შესახებ.**

რა თქმა უნდა, „ლატავრა“ ვერ შეედრება ფალიაშვილის გენიალურ ოპერებს — „აბესალომ და ეთერს“ და „დაისს“, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უკარგავს მას თავის უდავო მხატვრულ-მუსიკალურ ღირსებებს.

პირდაპირ შემიძლია ვთქვა: ფალიაშვილს რომ მხოლოდ „ლატავრა“ დაეწერა, იგი მაინც ჩაითვლებოდა ქართული საოპერო მუსიკის კლასიკოსად, რამდენადაც ამ ოპერაში გამოვლინდა (ცხადია, არა ისეთი გენიალური ძალით, როგორც „აბესალომსა“ და „დაისში“ძ კომპოზიტორის შემოქმედებითი ნიჭის ის თვისებები, რომლებიც ფალიაშვილს სამარადისოდ უდიდეს ფიგურად ხდის ქართულ მუსიკაში.

დავიმოწმებ გამოჩენილ მუსიკისმცოდნეს — კლასიკური მონოგრაფიის — „ზაქარია ფალიაშვილის“ ავტორს პროფ. ლადო დონაძეს, რომელიც „ლატავრას“ მუსიკისა და დრამატურგიის ჩრდილოვანი მხარეების აღნიშვნასთან ერთად, წერს: „ლატავრაში“ მრავლადაა ნათელი, დასამახსოვრებელი მუსიკალური ეპიზოდები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გუნდები და დიდი ანსამბლები, რომლებშიც ზ.ფალიაშვილი თავის საუკეთესო მიღწევათა დონემდე მაღლდება. კომპოზიტორი ავითარებს აქ „აბესალომისა“ და „დაისის“ გუნდებისათვის დამახასიათებელ ეროვნულ-სტილისტურ ფორმებს.

„ლატავრას“ ზოგიერთმა სოლო ნომერმა სამართლიანად მოიპოვა პოპულარობა. ასეთებია, მაგალითად, ლატავრას დიდი არია — მზისადმი მიმართვა, რაინდ რატის ლირიკული არია „ო, სინანული, ცრემლი მდულარე“, ელიშუღის სატირული კუპლეტები, რომლებიც ხშირად სრულდება საკონცერტო ესტრადაზე და, განსაკუთრებით, ნენოს შესანიშნავი არია — ლოცვა „ბუნების ძალნო“, რომელიც ზ.ფალიაშვილის საუკეთესო მიღწევათა დონეზე დგას! (— **გ.ტ.**ძ.

მთლიანად ვეთანხმები ჩვენი მუსიკისმცოდნეობის პატრიარქის ბატონ ლადო დონაძის სიტყვებს, რომლებიც შემიძლია დავადასტურო ჩემი მცირედი „მსმენელური“ გამოცდილებითაც: ვესწრებოდი „ლატავრას“ უკანასკნელი (!ძ დადგმის სპექტაკლებს 1950 წლის გაზაფხულზე. მაგონდება ერთი თითქმის კურიოზული შემთხვევაც. ათიოდე წლის შემდეგ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში მქონდა ასეთი ფრაზა: „ფაქტია, რომ ჯერჯერობით არ შექმნილა თანამედროვე ქართული ოპერა, რომელიც გაუტოლდებოდა ზ.ფალიაშვილის თუნდაც ყველაზე მოკრძალებულ ქმნილებას — ოპერა „ლატავრას“ (ოთარ თაქთაქიშვილის შესანიშნავი „მინდია“ ჯერ არ იყო დადგმულიძ, რამაც ძალიან გააჯავრა ზოგიერთი ჩვენი კომპოზიტორი.

ვუბრუნდები სერიოზულ თემას. როგორც ცნობილია (ცნობილია?!ძ, მომავალი წლის აგვისტოს თვეში სრულდება ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 140 წლისთავი. რა კარგი იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით, ჩვენი საოპერო თეატრი გამართავს დიდი კომპოზიტორის სამივე ოპერის (ე.ი. „ლატავრასიც“!ძ საკონცერტო შესრულებას! ეს გახდება ღირსეული საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გამოხმაურება ამ სანიშანსვეტო თარიღზე.

რაც შეეხება „ლატავრას“, — დარწმუნებული ვარ, იგი მოეწონებათ მსმენელებს!

აი, ასეთი „კონსტრუქციული“ და, ვფიქრობ, აქტუალური აზრები აღმიძრა ქ-ნი ნ. გულაშვილის წერილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ.

პატივისცემით
**გულბათ ტორაძე**

◎ ეს მთელი კაცობრიობის სირცხვილია!

*ორ თვეზე მეტია, 16 ბათუმელი მეზღვაური სომალელ მეკობრეთა ტყვეობაშია. 11 ნოემბერს კი, მეკობრეებმა ფილიპინების დროშის ქვეშ მცურავი გემიც იგდეს ხელთ, სადაც კიდევ ერთი ქართველი მეზღვაური — ოლეგ ნოდია მსახურობდა და ისიც სომალელთა ტყვეობაში აღმოჩნდა.*

*რა ხდება სომალიში? რაღა დროს მეკობრეობაა XXI საუკუნეში? როგორ ახერხებენ მხოლოდ „კალაშნიკოვებით“ შეიარაღებული ზღვის ყაჩაღები პატარა სათევზაო კატერებით დიდი გემების ხელში ჩაგდებას? ეს კითხვები ხშირად უპასუხოდ რჩება და სომალური ამბებიც, ერთი შეხედვით, ანაქრონიზმად ჩანს.*

*შევეცდებით, მცირედ მაინც გავერკვეთ იქაურ ვითარებაში და მართლაც გლობალურად ქცეული პრობლემის მოუგვარებლობის მიზეზებში.*

*არ შეიძლება სომალური მეკობრეობის პრობლემა ამ ქვეყნის ბოლო ოცი წლის პოლიტიკური და სამხედრო კატაკლიზმების გაუთვალიწინებლად განვიხილოთ, ამიტომ XX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორია გავიხსენოთ:*

# XXI საუკუნის მეკობრეები



## ნუთუ ეს დღეს შესაძლებელი უნდა იყოს?!.



1960 წელს ბრიტანელებისაგან გათავისუფლებული კოლონიური ნაწილისა (ე.წ. ბრიტანეთის სომალიძ და იტალიის ყოფილი სამფლობელოების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა სომალის რესპუბლიკა. 1969 წელს, როგორც ბევრგან, აფრიკაში, სომალიშიც, საბჭოთა კავშირის აგენტებისა და სსრკ-ის მოკავშირე ეთიოპიის ჯარების მხარდაჭერით, სამხედრო გადატრიალება მოხდა და იქ გენერალი მოჰამედ საიდ ბარე მოვიდა სათავეში; მაგრამ რუსებთან სიამტკბილობამ დიდხანს არ გასტანა და როდესაც 1977 წელს ბარემ ეთიოპიის ზღვისპირა ნაწილის მიერთება მოინდომა (რომელიც მართლაც არასოდეს ყოფილა ეთიოპიის ნაწილი და იქ მხოლოდ სომალელები ცხოვრობენძ, რუსებმა ძველი მოკავშირის — ეთიოპიის მხარე დაიჭირეს და 1980 წლიდან გენერალმა ბარემ რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია — მთლიანად დასავლეთისკენ შეტრიალდა. 1990 წლამდე მშვიდობა იყო სომალიში და დასავლეთის დახმარებითა და საკუთარი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ასე თუ ისე ფუნქციონირებდა სახელმწიფო, მაგრამ თავი იჩინა პანისლამისტურმა ტენდენციებმა, ამას სოციალური და ეთნიკური პრობლემებიც დაემატა და 1991 წელს საიდ ბარეს მთავრობა დაემხო, დაიწყო სამოქალაქო ომი.

იმავე წელს ჩრდილოეთ პროვინცია სომალილენდმა, ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა (ეს სწორედ ყოფილი ბრიტანული ნაწილია ქვეყნისა, რომელიც ადენის ყურის ნაპირზეა და ყველაზე ხელსაყრელი მდებარეობა აქვს მეკობრეებისთვისძ.

გაერომ მხოლოდ 500-კაციანი კონტინგენტი, აშშ-მა კი თავისი საზღვაო ფეხოსნები გაგზავნა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ — 2000 მშვიდობიანი მოქალაქე სულ ტყუილად შეეწირა არეულობას, ამერიკელებმაც 17 ჯარისკაცი დაკარგეს და... სომალი ისევ მარტო დარჩა საკუთარი პრობლემების წინაშე — 1995 წლისთვის იქ აღარც ერთი უცხოელი ჯარისკაცი აღარ იყო.

1996 წელს უკვე პუნტლენდმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა — ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილიც მოსწყდა ერთიან სახელმწიფოს. რუკიდან კარგად ჩანს, რომ სომალილენდი და პუნტლენდი, ანუ სწორედ ის რეგიონები, რომლითაც სომალის, როგორც ტრანზიტული პორტების ქვეყანას რაიმე შემოსავალი მიეღო შეეძლო, მეამბოხე მინი-მთავრობების ხელში აღმოჩნდა და დაიწყო მასობრივი შიმშილობა ქვეყნის დანარჩენ „სამხრეთ ნაწილში“ (დედაქალაქი მოგადიშოც აქ მდებარეობსძ. გახსოვთ ალბათ, იმ წლებში სიტყვები „სომალი“ და „სომალელი“ შიმშილისა და სიღატაკის სინონიმებად იქცა...

სამოქალაქო ომი კი გრძელდებოდა — 2005 წელს მოგადიშოში ხელისუფლება ე.წ. „ისლამურ სასამართლოთა კავშირმა“ იგდო და ცოტა ხნით წესრიგის მაგვარიც დამყარდა, მაგრამ 2006-ის ბოლოს ეთიოპიის ჯარებმა (რომელსაც არ სურს თავის გვერდით ისლამისტურ-თეოკრატიული სახელმწიფოს არსებობაძ აშშ-ის დახმარებით ისლამისტები დაამარცხა და დედაქალაქში გარდამავალი მთავრობა დასვა, რომელსაც ხალხის არავითარი ნდობა არ გააჩნდა — ბევრი პარტიზანებს შეუერთდა, ზოგი კი — მეკობრეებს (თუმცა, ხშირად, ეს ერთი და იგივეაძ. 2007 წელს იქ აფრიკის კავშირის ინტერნაციონალური ჯარი შევიდა, შედეგი — კვლავ უმნიშვნელო...

2009-ში ეთიოპიამ თავისი სამხედროები გაიყვანა, მაგრამ სტაბილიზაციის მაგივრად უარესი მოხდა — „ისლამურ სასამართლოთა კავშირი“ ხუთ ფრაქციად დაიყო და ერთმანეთს დაერივნენ...

ამ ხუთი ფრაქციის გარდა, გარდამავალ მთავრობას ისლამისტური ორგანიზაცია „ალ-შაბაბი“ („ახალგაზრდობა“ძ ებრძვის (თუმცა ის ყველა სხვა ორგანიზაციასაც ებრძვისძ, რომელსაც ყველაზე მეტი ფული (მეკობრეობით მიღებულიძ და, შესაბამისად, ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს... ხალხი კი, კვლავ შიმშილით, ტყვიითა და უწყალოდ იხოცება...

ბოლოს, მეზობელ ჯიბუტიში აირჩიეს პრეზიდენტად შეიხ შარიფ ახმედი — ზომიერი ისლამისტი, გაეროც მას უჭერს მხარს და აშშ-ც, მაგრამ რეალურად იგი მხოლოდ დედაქალაქის რამდენიმე უბანს აკონტროლებს.

ხალხს თან არ მოსწონს „ალ-შაბაბის“ მმართველობა, თან „ისლამურ სასამართლოთა კავშირის“ დროინდელი მოკლევადიანი წესრიგი ენატრება. გარდამავალი მთავრობა კი, მხოლოდ ქაღალდზე და საერთაშორისო კონფერენციებზე არსებობს (დაახლოებით ისე, როგორც სანაკოევის ადმინისტრაცია ჩვენთანძ. 16 ათასი მოკლული და მილიონი ლტოლვილი — ასეთია ამ 20 წლის შედეგი თვით სომალისთვის, ხოლო XXI საუკუნისთვის უჩვეულო მეკობრეობა — მთელი მსოფლიოსთვის...

რაც შეეხება უშუალოდ მეკობრეობას: 1990 წელს, სამხრეთის პორტ კისმაიოში მეთევზეებმა შექმნეს „სანაპირო დაცვის მოხალისეთა“ რაზმები. მათ არეულ ქვეყანაში სათევზაო ადგილებში ბრაკონიერთა შემოჭრები უნდა აღეკვეთათ, რომლებიც შემოსავლის ერთადერთ წყაროს ართმევდნენ. მაგრამ უკონტროლობამ და დაუსჯელობამ ისინი მალე მეკობრეებად აქცია — თანდათან ღრმად იწევდნენ ზღვაში და უკვე არა ტერიტორიულ წყლებს, იქით მყოფ მეთევზეებსაც „აჯარიმებდნენ“ „სათევზაო წესების დარღვევისთვის“.

იხ. 9 გვ.

◎ ინფორმაცია

## ახალი კადრები საზღვაო ადმინისტრაციაში

**საზღვაო ადმინისტრაციაში საკადრო ცვლილებები იგეგმება. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ განაცხადა, საზღვაო ადმინისტრაციაში ახალ სტრატეგიაზე იწყება მუშაობა, რისთვისაც ახალი კადრებია საჭირო.**

**— საზღვაო ადმინისტრაციაში ცვლილებები მოსალოდნელია და მივმართავ ყველა მეზღვაურს და იმ ადამიანებს, რომელსაც აქვს გამოცდილება ამ სფეროში, დაგვიკავშირდნენ სამინისტროში, რადგანაც ჩვენ ვეძებთ ახალ კადრებს, რომელიც სტრატეგიის დაწერაში დაგვეხმარება, — განაცხადა მინისტრმა.**

**საზღვაო სფეროში მთავრობამ ახალი სტრატეგიის დანერგვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ევროკავშირიდან გარკვეული დირექტივები მიიღო.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროპელი მეთვალყურეები საქართველოში თავს გამოუსადეგრად მიიჩნევენ

**ევროპელი მეთვალყურეები, რომელთა ამოცანაც არის თვალყური ადევნონ მოსკოვსა და თბილისს შორის სამშვიდობო მოლაპარაკების პირობების დაცვას 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, ეჭვს გამოთქვამენ თავიანთ სარგებლობაში. პოლიტიკური მოძრაობის უქონლობის სიტუაცია აქ გაყინულ მდგომარეობაშია, მისი შესაძლებლობების პერსპექტივა კი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო დაშორებული ჩანს**

სოფელი პერევი თბება ნოემბრის თვის შეუფერებელი თბილი მზით. მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე დადიან ღორები, ღონიერი ცხენები კი ძლივს მიათრევენ მძიმე მორებს. ასეთია სოფლის სურათი საქართველოში მთელი მისი ბანალობით. თუმცა, თავად სოფლის ბანალობად წოდებისთვის ენა არ მოგიბრუნდება.

ამ ცოტა ხნის წინათ პერევი (1100 მცხოვრებით) იყო ერთადერთი დასახლებული პუნქტი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის ჯარებს ეკავათ მედვედევ-სარკოზის შეთანხმების დარღვევით.

18 ოქტომბერს მოსკოვმა, როგორც იქნა, გამოიყვანა თავისი ჯარისკაცები სოფლის შესასვლელთან განლაგებული ბლოკ-პოსტიდან და გადაიყვანა ისინი რამდენიმე ასეული მეტრით უკან, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. დამოუკიდებლად – „მფარველობის“ ქვეშ: თუ მოინდომებთ შეხვიდეთ იქ ხიდით, პოსტზე უმალვე ორ დროშას შენიშნავთ – რუსეთისას და ოსეთისას.

ევროკავშირის მეთვალყურეთა მისია (მან მუშაობა დაიწყო 2008 წლის ოქტომბრიდან) – ეს არის ევროპული სამოქალაქო მისია 300 კაცისგან, რომლის ამოცანაშიც შედის სამშვიდობო შეთანხმების ექვსი პუნქტის შემოწმებისათვის თვალყურის დევნება. მისი პატრულები კონტაქტს ამყარებენ ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ხელისუფლებასთან მთელი ადმინისტრაციული სადემარკაციო ხაზის გასწვრივ. მიუხედავად ამისა, რუსები და ოსები კრძალავენ ამ პუნქტის გადაკვეთას. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთზეც. მოსკოვმა ორივე სეპარატისტულ რესპუბლიკაში უკვე განათავსა 3600 კაცი.



თბილისში გამოთქვეს კმაყოფილება რუსეთის ჯარის უკან დახევის გამო, მაგრამ მოვლენას გადაჭარბებით არ აფასებენ. „ჯარების გაყვანა პერევიდან – ეს არის ნაბიჯი სწორი მიმართულებით, მაგრამ ეს ერთ პროცენტზე მეტიც კი არ არის ოკუპირებული ტერიტორიისა, – მიაჩნია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გიგა ბოკერიას. – ჩვენ ილუზიებს არ ვიქმნით. პრობლემის გადაჭრა ერთი თითის აქნევით როდი შეიძლება“. მოსკოვი დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა პერევს, როგორც კოზირს დასავლეთთან მოლაპარაკებაში. ჯარისკაცებმა სოფელი პირველად 2008 წლის დეკემბერში დატოვეს, მაგრამ ერთი დღე-ღამის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ.

2009 წლის გაზაფხულიდან ვითარება ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ სავსებით მშვიდია. სულ 2010 წელს დარეგისტრირებული იყო 140 გასროლა, მაგრამ მათი უმრავლესობა გაკეთდა წვრთვნის ან, უბრალოდ, კმაყოფილების გულისთვის.

„დღეს კონფლიქტი გაყინულ მდგომარეობაშია, – მიაჩნია გერმანელ დიპლომატს ჰანსიორგ ჰაბერს. – ჩვენ მოვახდინეთ სიტუაციის სტაბილიზაცია, მაგრამ ხანგრძლივი პერსპექტივისთვის ასეთი მისია საკმარისი აღარ იქნება. საჭიროა პოლიტიკური სტრატეგია“.

„მიუხედავად ამისა, ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია, როგორც ჩანს, აქ მრავალი წლის განმავლობაში დარჩება. საქმე ის არის, რომ მხარეთა რეგულარული მოლაპარაკება ჟენევაში, პრაქტიკულად, საგრძნობ შედეგებს არ იძლევა. მაგალითად, რუსეთს სურდა გამოსულიყო შუამავლის როლში (ესე იგი, ისეთივე მოვალეობით, რაც ევროკავშირს აკისრია), თუმცა სინამდვილეში არის ამ კონფლიქტის უშუალო მონაწილე.

საკმაოდ მწვავედ დგას ლტოლვილთა საკითხიც, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ახალგორის რაიონში, რომელიც ომის დროს სამხრეთოსეთელი მეამბოხეების ხელში აღმოჩნდა. „მთლიანად სამხრეთ ოსეთიდან 30 ათასი ქართველი გაიქცა. მათგან არავინ დაბრუნებულა, – აღნიშნავს ჰანსიორგ ჰაბერი. – დროდადრო ზოგიერთი მათგანი ჩადის ახალგორში, რათა შეამოწმოს თავისი სახლი, მაგრამ ძალიან სწრაფად ბრუნდება უკან. მათთვის იქ სახიფათოა ყოფნა“.

ადრე ამ რაიონის მოსახლეობის უმეტესობა ქართველები იყვნენ, მაგრამ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი ბინები ძარცვისა და საშიშროების გამო. დაახლოებით 5 ათასი კაცი (საერთო მოსახლეობის 7 ათასიდან), იძულებული გახდა ეძებნა თავშესაფარი საქართველოს სხვა ნაწილში.

presseurop

# ქართველებს მოეფერნენ

**გაეროს საპარლამენტო ასამბლეამ დაამტკიცა რეზოლუცია, რომელშიც დადასტურებულია საქართველოს ტერიტორიების „ოკუპაცია“ და „ეთნიკური წმენდა“. დოკუმენტის მიღება თბილისში შეაფასეს, როგორც საქართველოს პოლიტიკური გამარჯვება და რუსეთის სერიოზული პოლიტიკური ფიასკო**

რეზოლუცია „სიტუაციის შესახებ საქართველოში“ დამტკიცდა გაეროს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სესიაზე ვარშავაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლისაბონის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე: პორტუგალიის დედაქალაქში ელოდებიან საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს. თბილისში მიაჩნიათ, რომ რეზოლუციის დამტკიცების დრო ხელს აძლევს საქართველოს: „უეჭველია, ნატოს ხელმძღვანელობა და მაღალი რანგის პოლიტიკოსები ბლოკის მონაწილე



ქვეყნებიდან ცხელ კვალზე კიდევ ისაუბრებენ მედვედევთან რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების შეუსრულებლობის შესახებ.

თუმცა, პროგნოზს აკეთებს ზოგიერთი ექსპერტი, ასეთი მოლაპარაკება მოსკოვთან დიდ შედეგს არ გამოიღებს და იგი არ დაიწყებს უმალვე არმიის გამოყვანას აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, მაგრამ, „წვეთი ქვას ხვრეტს“, და შედეგად რუსეთს, ამა თუ იმ ფორმით, დროთა განმავლობაში მოუწევს უკან დახევა.

რაც შეეხება საკუთრივ რეზოლუციის ტექსტს, რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე მასში შეფასებულია: როგორც 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევა, რომელსაც ხელი მოეწერა ევროკავშირის შუამავლობით, და როგორც სუვერენული სახელმწიფოს ოკუპაცია. ამას გარდა, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია თბილისისთვის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა რუსეთს „აღმოფხვრას ეთნიკური წმენდის შედეგები“ და უზრუნველყოს ყველა იძულებით გადაადგილებული პირის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება თავიანთ სახლებში.

საპარლამენტო ასამბლეამ ასევე დაგმო რუსეთის შესაბამისი სტრუქტურების მიერ შეზღუდვის შემოღება საქართველოს „ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთაზე და მოსკოვის მიერ ეუთოსა და გაეროს მისიების ქვეყანაში ყოფნის დაბლოკვა. იგი, ამას გარდა, მოუწოდებს რუსეთს უზრუნველყოს ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის დაშვება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თავად ევროსაბჭო კი – განიხილავს საკითხს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებაზე ევროკავშირის მომავალ სამიტზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, „რეზოლუციის შესაბამის კომიტეტში განხილვის დროს რუსეთის დელეგაცია ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ტერმინს „ოკუპაცია“, ისევე, როგორც და განსაკუთრებით ტერმინის „ეთნიკური წმენდა“ გამოყენებას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში რუსეთი, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით, არის მხარე, რომელიც პასუხისმგებელია ეთნიკური წმენდისთვის.

რუსეთის წარმომადგენელთა უკმაყოფილების შესახებ საუბრობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძეც – ის მონაწილეობდა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაში. „დოკუმენტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რუსეთის მხარე ყოველმხრივ ცდილობდა მის დაბლოკვას. გაიმართა მეტად სერიოზული განხილვა კომიტეტების დონეზე და რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა მისი შინაარსისთვის. მაგრამ კომიტეტის დიპლომატიური გამარჯვების შემდეგ რეზოლუციის დამტკიცება უკვე დიდ შრომას აღარ წარმოადგენდა. სიმბოლურია ისიც, რომ რუსეთის დელეგაცია ამ დროს იქ არ იმყოფებოდა, რითაც ირიბად გამოხატა თავისი უკმაყოფილება დოკუმენტით“, – განაცხადა სპიკერმა.

ბაქრაძემ აგრეთვე განმარტა, თუ რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი საქართველოსთვის ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია. მისი სიტყვებით, საპარლამენტო ასამბლეა – ეს ერთი ორგანიზაცია როდია, იგი შედგება ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების 28 მოქმედი პოლიტიკოსისგან, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს: „ოცდარვა დემოკრატიულ მოწინავე ქვეყანას. მათი პოლიტიკოსები და პარლამენტარები მზად არიან ბოლომდე დაგმონ რუსეთის მოქმედებანი და ბოლომდე იდგნენ საქართველოს გვერდით“. პრაქტიკულად, მიაჩნია ქართველ ლიდერს, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „გამოხატავს მთელი თანამედროვე მოწინავე საზოგადოებრივი აზრის რწმენას და არა ვენესუელისა ან ნაურუსი, რომლებიც დღევანდელ რუსეთთან ერთ საზოგადოებაში არიან.

მთლიანად, საქართველო კმაყოფილი დარჩა რეზოლუციით, მან შექმნა კარგი ფონი ნატოს ლისაბონის სამიტის წინ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ამას წინათ თბილისმა მიიღო ნატოს გენერალური მდივანი, რაც კარგად მიუთითებს იმაზე, რომ ურთიერთობა საქართველოსა და ნატოს შორის ვითარდება, და იმედი მაქვს, რომ ნატოს სტრატეგიულ დოკუმენტში საქართველო დაიკავებს ღირსეულ ადგილს“, – თქვა სპიკერმა.

ავღნიშნავთ, რომ რეზოლუციამ ასახა არა მხოლოდ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დამოკიდებულება საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით. ის მიესალმა ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელებას, მაგრამ, როგორც ზოგიერთმა მეთვალყურემ აღნიშნა, გამოთქვა მწუხარება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დროს მთლიანად არ იქნა შესრულებული ევროსაბჭოსთან არსებული ვენეციის კომისიის საკონსულტაციო მექანიზმები.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ ასევე შეაქო საქართველო დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში ძალისხმევისთვის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და ოპოზიციის ჩართვისთვის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

როგორც ჩანს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციის აქტიური განხილვა ნოემბერში არ დამთავრდება. 22-25 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობას მიიღებს ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაში. წინასწარი ინფორმაციით, სხვა საკითხთა შორის ის ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს დეოკუპაციისა და მისი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზე.

სააკაშვილის მოწვევისა და ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე მის გამოსვლას თბილისში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. კერძოდ, პარლამენტის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს ამას „მეტად მნიშვნელოვან დიპლომატიურ მოძრაობად წინ“.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**პრეზიდენტის არჩევნებში ობამას დამარცხება ქალმა დაიკვეხა**

ალიასკის ექსგუბერნატორს სარა პეილინს ჯერ არ განუცხადებია, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას მომავალ არჩევნებში, მაგრამ იგი უკვე მეორედ საჯაროდ ამბობს, რომ „სერიოზულად ფიქრობს ამაზე“. ბარაკ ობამამ კი, პირიქით, უკვე დაიწყო მზადება მომავალი კამპანიისთვის, რომელსაც სათავეში ჩაუდგება 2008 წლის გამარჯვებული კამპანიის ხელმძღვანელი დავიდ აქსელროდი.

**მეხუთე თაობის გამანადგურებლის ალიასკაზე დაღუპვა: პილოტი დაიკარგა**



ფ-22 ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ძვირი გამანადგურებელია, მისი ფასი 140 მილიონი დოლარია. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა არ კარგავს იმედებს, რომ სამხედრო მფრინავმა შეძლო გადარჩენა. პილოტები გადიან სპეციალურ მომზადებას ყინვაში, ტყეში, მთებსა და მცირე დასახლებულ ადგილებში გადარჩენისთვის.

**ჰაიტიში ქოლერის ეპიდემიის მსხვერპლთა რიცხვმა 1100 კაცს გადააჭარბა**



ქოლერით ადამიანის დაავადების პირველი შემთხვევა ოფიციალურად დარეგისტრირდა მეზობელი დომინიკის რესპუბლიკაში. ქოლერის ვიბრიონი აღმოჩნდა აგრეთვე ფლორიდის შტატში, სადაც დაავადება გამოუვლინდა ქალს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ჰაიტიდან, სადაც იგი ნათესავებს შეხვდა.

**ბაღდადის საგამოძიებო იზოლატორიდან 20 კაცი გაიქცა**



იზოლატორი იმყოფება ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის პირდაპირ. სწორედ იქ პატიმრებმა მოაწყვეს უწესრიგობანი. მათ დასაშოშმინებლად გაიგზავნა პოლიციის ქვედანაყოფი, მაგრამ რაღაც გაურკვეველი ვითარებით პატიმართა ჯგუფმა მოახერხა გაპარვა.

**ბუში-უფროსი და მერკელი წარდგენილი არიან აშშ-ს უმაღლეს ჯილდოზე**



ნომინანტებს შორის არიან აგრეთვე: ბრწყინვალე ვიოლონჩელისტი იო-იო მა, ამერიკელი ბიზნესმენი და ფილანტროპი უორენ ლაფეტი, რომელიც მნიშვნელოვნად უჭერდა მხარს ობამას წინასაარჩევნო კამპანიაში, მწერალი ჰერდა ვისმან-კლიაინი, რომელმაც გადაიტანა ჰოლოკოსტის ტრაგედია, ამერიკული კალათბურთის ლეგენდა ბილ რასელი და სხვები.

## ეს მთელი კაცობრიობის სირცხვილია!

# XXI საუკუნის მეკობრეები

(მეშვიდე გვერდიდან)

დღეს ისინი უკვე ნაპირიდან 500 საზღვაო მილის (თითქმის 900 კილომეტრიძ დაშორებით ბედავენ შესვლას და გემების გატაცებას. სქემა მარტივია: შედარებით მოზრდილი, ე.წ. „დედაგემები" ოკეანეში დგანან და შესაფერისი მსხვერპლის გამოჩენის შემთხვევაში იქიდან რამდენიმე სწრაფმავალი კატერი ეშვება. ადრე მეკობრეები მხოლოდ „კალაშნიკოვებითა" და თოკებით იყვნენ აღჭურვილნი, ახლა მათი შეიარაღება ნაღმმტყორცნებით, სატელიტური კავშირის საშუალებებით, რადარებითა და სხვა სისტემებით შეივსო. ადენის ყურეში მცურავი ნებისმიერი დიდი გემი, რომელზეც მცირე რაოდენობის ეკიპაჟია და შეიარაღებაც არ არის, უკვე პოტენციური მსხვერპლია.

ისიც სათქმელია, რომ ამ საზღვაო გზით წელიწადში 16 000 გემი გადაადგილდება და საშუალოდ წელიწადში 40-50 „გზააბნეულის" აღმოჩენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამას წინათ, ერთ-ერთ რუსულ გაზეთში სომალის კანონიერი ხელისუფლების ელჩის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ის ამტკიცებს, რომ მეკობრეებს ევროპაში ჰყავთ ინფორმატორები, რომლებიც წინასწარ აწვდიან მათ ინფორმაციას კონკრეტული გემის ეკიპაჟზე, ტვირთსა და შეიარაღების არარსებობის შესახებ.

გემის დატყვევების მეთოდი „მამაპაპური" და საიმედოა, ჯერ კიდევ დრეიკის და მორგანის დროინდელი: მეკობრეები სწრაფად უახლოვდებიან მსხვერპლს, თუ მისი ბორტი დაბალია, პირდაპირ ან კიბის გადებით გადადიან, ხოლო თუ მაღალი ბორტია, კაუჭიანი თოკებით ადიან გემბანზე, ეკიპაჟს იარაღის მუქარით ჯერ ძვირფასეულობასა და ფულსართმევენ, მერე რომელიმე სათავსოში კეტავენ, მხოლოდ მესაჭეს ტოვებენ, კურსს აცვლევინებენ და თავის პორტში მიჰყავთ. „თავისი პორტი" შემთხვევით არ გვიხსენებია — ყველა მეკობრე თავს იმ „დამოუკიდებელი მთავრობის" წარმომადგენლად ასაღებს, რომელიც სომალის ტერიტორიისა და სანაპიროს კონკრეტულ ნაგლეჯს აკონტროლებს.

ტყვეებთან მოპყრობის პირობებიც, როგორც წესი, „სტანდარტულია": ისინი ჩაკეტილები ჰყავთ კაიუტებში (ხშირად ყველანი ერთადძ, კვირაში ერთხელ ამოჰყავთ დღის სინათლეზე, ხოლო ტექნიკოსებს, რომლებმაც გემზე აუცილებელი პროცედურები უნდა შეასრულონ, რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაჰყვება.

თითქმის ერთი და იგივეა გამოსასყიდის მიღების მეთოდიც და ეს უფრო გვაიმედებს, რომ ქართველი მეზღვაურებიც მშვიდობით დაბრუნდებიან: საინფორმაციო სააგენტოებს გადასცემენ ინფორმაციებს პატიმართა




ცუდი პირობებისა და ავადმყოფობის შესახებ; არეკინებენ ახლობლებთან და აკონტროლებენ, რომ მათაც მძიმე სურათი დახატონ — რომ არ არის საჭმელი, საწვავი, სასმელი, სანიტარიული პირობები... ამას ემატება ისედაც აღელვებული ახლობლების პანიკური კომენტარები (საბედნიეროდ, ბოლოს ეს ყველაფერი გადაჭარბებული აღმოჩნდება ხოლმეძ... და როგორც წესი, გადახდილი თანხა ხშირად თავდაპირველად მოთხოვნილზე ათჯერ მცირეა ხოლმე...

გემთმფლობელს ხშირად არ უნდა ამის აფიშირება და ბევრი შემთხვევა საერთოდ არ გამჟღავნებულა.

ფულის მიღების წესიც „ჩვეულებრივია": ან კომპანიის წარმომადგენელს ჩააქვს, ან საიდუმლო მეკავშირე იღებს „მესამე ქვეყანაში", ან პატარა ერთმოტორიანი თვითმფრინავი უახლოვდება დათქმულ ადგილს ნაპირზე და ჰაერიდან აგდებს ნაღდი ფულით სავსე ჩანთას.

ბოლო პერიოდში გაჩნდა ცნობები, რომ მეკობრეებს უკვე სპონსორები ჰყავთ და სწორედ ამან გამოიწვია გამოსასყიდის რაოდენობების გაზრდა — თუკი ადრე მაქსიმალური მოთხოვნა 500 ათასი დოლარი იყო, ახლა 3-4 მილიონს ითხოვენ (ისე, ყველაზე მეტი ერთმა ბერძნულმა კომპანიამ გადაიხადა, მაგრამ მის ტანკერზე 150 მილიონის ნედლი ნავთობი იყოძ, მიზეზი მარტივია: „ინვესტორები" მეკობრეებს იარაღით, სადარაჯო და კავშირგაბმულობის სისტემებით, საკვებით, ნარკოტიკებით ამარაგებენ, სამაგიეროდ გამოსასყიდიდან „ლომის წილს" იღებენ. ოფიციალურად დადასტურებული მონაცემებით, მეკობრეებისთვის გადახდილი თანხა 2008 წლის 50 მილიონიდან, 2009 წელს 90 მილიონამდე გაიზარდა.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ მაფიის „ინტერნაციონალიზაცია" ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურებასთან არის დაკავშირებული — სარწმუნო ცნობებით, ამ ფულის დიდი ნაწილი ტერორისტებთან იყრის თავს, უკონტროლო ტერიტორია კი, ოაზისია „ალ-ქაიდას" წევრებისთვის.

რეალურია თუ არა სომალურ მეკობრეობასთან ბრძოლა? დაწვრილებითი პასუხისთვის დიდი დროა საჭირო, მოკლედ კი ასე შეიძლება ითქვას: ეს ძალიან ძნელია და რამდენიმე საერთაშორისო მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. პარადოქსია, მაგრამ მიზეზი ამ ბრძოლის სიძვირეა — საერთაშორისო საზოგადოებას ის უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე გამოსასყიდების გადახდა. სამწუხაროდ, დღევანდელ პრაგმატულ დროში ეს უფრო მთავარია, ვიდრე ადამიანთა დრამა...

დაბოლოს, რაც ყველაზე მეტად გვაიმედებს ქართველ მეზღვაურთა გულშემატკივრებს, სომალელი მეკობრეების მუქარა, მძევლების დახოცვის შესახებ, მუქარადვე რჩება ხოლმე.

**ლუკა დოლიძე.**

## ◉ SIC!

### გულგაციებული შემყურენი - და არა მხოლოდ

ეს მოხდა შუა ქალაქში — მეგობრობის გამზირზე, ნოემბრის პირველ დეკადაში, დილის 10 საათზე — ავტობუსის გაჩერებასთან. შუქნიშანი წითელს უჩვენებდა, ავტომობილები სამ წყებად იდგნენ მწვანე შუქის მოლოდინში, — უეცრად, ვხედავ, მგზავრმა საგზაო მონაკვეთი გადაირბინა, ზედ შუაში ფეხი აუცურდა და მანქანის ბორბლებიდან 4 მტკაველზე მარცხენა მაჯაზე დაეცა მთელი სიმძიმით. მოწყვეტით დაცემული მოქალაქე უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ხელს ვერ ეყრდნობოდა, — იქვე მდგარი მანქანების მფლობელებიდან არავინ აღმოჩნდა, რომ გადმოსულიყო და დავარდნილისთვის ხელი შეეშველებინა.

უფალს შევევედრე, დახმარება. მართლაც ვიდრე ავტომანქანები ამოძრავდებოდნენ კაცმა წამოდგომა შეძლო. შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და უახლოეს აფთიაქს მიაშურა.ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ეს რომ არ ვთქვა, არ შემიძლია:

გაჩერება, სადაც ეს ამბავი ყველას თვალწინ, დილის 10 საათზე მოხდა, როცა ხალხი სამსახურში მიდის (თუკი სამსახურები შემოგვრჩა), პოლიციის განყოფილების მეორე მხარესაა. ადრე ამ გაჩერებაზე მოდიოდა №75 მარშრუტის ავტობუსი, რომელიც ბარათაშვილის ხიდამდე დადიოდა. მგზავრები მას ამ გაჩერებაზე ელოდებოდნენ ხოლმე. იმ დღეს დაზარალებული მგზავრი კი გზის მეორე მხარეს გადარბოდა, რათა ახლადაშენებულ წმინდა გიორგის ტაძართან მდებარე გაჩერებაზე ჩასულიყო, საიდანაც №46 მარშრუტის ავტობუსი წაიყვანდა ფილარმონიის მიმართულებით. არადა, დიღმის მასივის ძირითადი კვარტლებიდან გელოვანის, გაგარინის, პეკინის, გმირთა მოედნის, რუსთაველის, თავისუფლების მოედნის გავლით არაფერი არ დადის. კეთილმომსახურების თბილისის სატრანსპორტო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს დიღმის მასივის მცხოვრებთა გასაჭირი და აღადგენს №75 მარშრუტის ავტობუსი თავის ხაზზე. ამ ცვალებადობის ჟამს ფილარმონიის ორივე მხარეს გამოჩნდა ორი ცვლილება — №140 და №150 მარშრუტების ავტობუსები, მაგრამ დიღმის მასივის მცხოვრებთ ამით არავითარი შეღავათი არ მიუღიათ. ერთი 46 ნომერია და ისიც როგორც მოგახსენეთ სანაპიროდან ამოდის დიდუბის ხიდთან (ტაძართან), იქამდე მანძილის გავლა ჯანმრთელსაც და ხეიბარსაც ერთნაირად უჭირს. ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდა გავითვალისწინოთ როგორც დილის საათები, ასევე საღამოს და ღამის (უკვე 5-ის შემდეგ ბინდია) საათები, ხალხს სახლებში დაბრუნება სჭირდება.

ეს წერილი გაჭირვებული ხალხის ღაღადია, თორემ ვინც მანქანით დასრიალებს, იმათთვის არაფრის მთქმელია.

ვისაც გული შესტკივა ხალხზე, გულთან მიიტანოს ეს თხოვნა. ცივგულიანი შორიდან მაცქერალის როლში ნუ დარჩებით!!!

**თენგიზ თომაძე.**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

**ს.ს.ი.პ ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს აუქციონს არამუშა მდგომარეობაში მყოფ გამათხევადებელი დანადგარის „აჟკჟ — 0,25"-ის რეალიზაციის მიზნით**

საწყისი ფასი ლარებში: 45 000
„ბე"-ს რაოდენობა: 300
სავაჭრო ბიჯი: 500
მონაწილის ბილეთის ფასი: 20
დამატებითი პირობები:

1. აუქციონში გამარჯვებული იღებს ვალდებულებას შეასრულოს ფიზიკის ინსტიტუტის ბალანსზე არსებული მუხათგვერდის რეაქტორის სახურავისა და კედლების სარემონტო სამუშაოები. სამუშაოს ღირებულებაა 20 000 ლარი.
2. აუქციონში გამარჯვებული საკუთარი სახსრებით ახდენს დანადგარის დემონტაჟს და გატანას ტერიტორიიდან.
3. აუქციონში გამარჯვებული უზრუნველყოფს დემონტაჟის დროს შენობისადმი მიყენებული შესაძლო დაზიანების აღდგენას.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შესატანი არ დაუბრუნდება.

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია:
აძ ვალდებულების აღება სააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;
ბძ მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს.

განცხადების მიღების ადგილი:
ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №6, აუქციონის გამოცხადებიდან ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდაძ 11-დან 16 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღი:
აუქციონი ჩატარდება გამოცხადებიდან ოცდამეერთე კალენდარულ დღეს, დღის 15 საათზე.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი „ქართუ" მთაწმ. კრწ. ფილიალი;
ბანკის კოდი: 220101086;
ანგარიშის №86092683408.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მყიდველმა უნდა წარმოადგინოს საჭირო დოკუმენტაცია არსებული წესის მიხედვით.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ფიზიკის ინსტიტუტში.
ტელ: 39-87-83.**

## განცხადება

**ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე**

1. ცხადდება ღია კონკურსი ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის შემდეგი ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

აძ „ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის" განყოფილების
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული
ბძ „გამოყენებითი კვლევების ცენტრის"
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 0,5 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა და განცხადებების მიღება იწარმოებს საკონკურსო კომისიის მიერ 2010 წლის 18 ნოემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდაძ, 11.00 საათიდან 18.00 საათამდე.

მისამართი: ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, თამარაშვილის ქ. 6. ოთახი 335.
E-mail:lzamt@yahoo.com
l.zamtaradze@aiphysics.ge
ტელ: 39-17-50

პასუხისმგებელი პირი.
ლ. ზამთარაძე

## ◉ წკეპლიკა

# ჟამი ანდაზების აღზევებისა

**ჩვენში რომ ცირკები ხდება, უფრო თავშესაქცევს (თუ თვალშესაქცევს?..) ვერცრას ინატრებ.**

კაცო, ცირკია, მაშ რა არის, როცა 16 ნოემბერს, 21 საათის „კურიერში", ცალკერძ მორიგ ჯერზე ატრაბახებული პრეზიდენტი, ქუთაისში ოდენ საპიაროდ ჩასული, მიმტკიცებს — არაკორუმპირებული სახელმწიფო ავაშენეთო, ცალკერძ (იმავე საინფორმაციო გადაცემაში!ძ ტელეწამყვანი დაწვრილებით მიამბობს არაკორუმპირებული სახელმწიფოს გარემოს დაცვის სამინისტროში მოკალათებულ კორუმპირებულ მაღალჩინოსანთა ჯგუფზე, რომელმაც 3 წლის მანძილზე, მასშტაბური კორუფციული სქემის მოშველიებით, თურმე 7 მილიონი ლარი „მიიკორუმპიარა". ინერტულმასალებიან კარიერებს თურმე სულ ბდღვირი ადინეს იმ მაღალჩინოსნებმა და იმათთან მიბმულებმა. ვინმე ხვიჩა პირველი კი ყოფილა პირველი, მაგრამ მეორე, მესამე, მეოთხე ვინ იყო, ველარ დავიმახსოვრე...

გასაკვირია, ღმერთმანი, იმ „კურიერს" რედაქტორი არ უნდა ჰყავდეს, რომ ამგვარი „ნონსენსობა" შეამჩნიოს მიხეილ-ბატონის კვეხნისა და გოგა ხაჩიძის „ბიჭებზე" გადმოცემული ინფორმაციის ფონზე? ხსენებაზე, სამინისტროში როცა სამწლიანი და შვიდმილიონიანი სიუჟეტი „მუშაობს", ნეტავი ასეთი სამინისტროს შეფი არ უნდა გადადგეს? ნუთუ აგრე მტკიცე არაკორუმპირებულია გოგა-ბატონი, რომ მინისტრის პოსტზე დარჩება ამგვარად სახელგატეხილ უწყებაში?

ისე, რა მაგარი ანდაზები გვაქვს ქართველებს, არა? ამ დღეებში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავს დამსახურებულად იწონებდა ორი: „ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო" და „კუდა ხარი თავად არ ექნა ღმერთს და სხვებს უგერიებდა ბუზებსო". ახლა, არაკორუმპირებულობაზე პრეზიდენტის ბაქიაობამ და იქვე, „გვერდით" გადმოცემულმა ისტორიამ „ინერტულად" კორუმპირებაზე კიდევ ერთი ანდაზა გამახსენა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო". რა, არ უნდა გამხსენებოდა?!

**ლუკა გორგაძე**

ფეხბურთი

# სად იყავით, სად იყავით მაშინ...



**ძლევამოსილად დაასრულა სეზონი საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა. 8 მატჩი დაუმარცხებლად, აქედან 3 გამარჯვება და 5 ფრე – ასეთია თემურ ქეცბაიას ფორმაციის გუნდის მონაგარი.**

ჰოდა, ასეთი ზარაქიანი წლის შემდეგ ვეკითხებით ჩვენი ფეხბურთის მამებსა და მათ პარტიულ ბოსებს: სად იყავით მაშინ, როცა მილიონები იფლანგებოდა „ჯვაროსანთა" უცხოელი თავკაცების მილიონიანი კონტრაქტებით გათვალისწინებული თანხების დასაფარავად?

რაც შეეხება ქალაქ კოპერის „ბონიფიკას" სტადიონზე სლოვენიელებთან მოპოვებულ წარმატებას – 2:1, მას კიდევ უფრო ფასეულს ხდის ის ფაქტი, რომ ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოიჩქედა მაშინ, როცა წლევანდელი „მუნდიალის" ფინალური ეტაპის მონაწილე მეტოქე საუკეთესო კონტინგენტით თამაშობდა.



ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შემცვლელი ყველას მოეძებნება და რჩეულთა შორის დასამკვიდრებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო.

ბალკანური მონაპოვარი რამდენიმე მონაცემითაა აღსანიშნავი. კერძოდ, ესაა მასპინძლებთან გამართული მეოთხე შეხვედრა და პირველი მოგება (აქამდე მხოლოდ ერთხელ გავიყავით ქულა და ორჯერ წავაგეთძ. სიმბოლურია, რომ ჰამდანოვიჩის კარში გატანილი პირველი გოლის ავტორი სანდრო გურული გია გურულის ვაჟია, რომელმაც დამოუკიდებლობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის ნაკრების შედეგიან დარტყმებს დაუდო სათავე (ლიტვასთან – 2:2ძ.

და ბოლოს, ერთ პირად მოსაზრებასაც გაგიზიარებთ, რომელსაც, ალბათ, გულშემატკივართა გარკვეული ნაწილიც დაეთანხმება. მართალია, ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა – 2:1, მაგრამ მიმაჩნია, რომ კახი კალაძეს გუნდისთვის დაცვის მარცხენა ფლანგიდან უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე ცენტრიდან. არც იმის დამალვას ვაპირებ, რომ გოჩა ხოჯავასგან გაცილებით მეტს ველოდი. საპირისპიროდ უნდა შეფასდეს გიორგი ლორიას ჩინებული დებიუტი და გადამწყვეტი გოლის ავტორის ჯანო ანანიძის ასფურცელას ტემპებისეული პროგრესი.

დანარჩენზე საუბარი საგაისოდ გადავდოთ, როცა 9 თებერვალს ჯერაც დაუზუსტებელ მოწინააღმდეგესთან სპარინგით გავხსნით ახალ სეზონს, ხოლო 26 მარტს „ევრო-2012"-ის შესარჩევ ციკლს ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერ ხორვატებთან საშინაო ბრძოლით განვაახლებთ. სლავენ ბილიჩის შეგირდებმა იმავე დღეს მალტელები დაჯაბნეს – 3:0 და 10 ქულას მოუყარეს თავი.

**გაუწყებთ ზოგიერთი სხვა საინტერესო ამხანაგური მატჩის შედეგსაც:** არგენტინა – ბრაზილია 1:0, ინგლისი – საფრანგეთი 1:2, პორტუგალია – ესპანეთი 4:0, რუმინეთი – იტალია 1:1, რუსეთი – ბელგია 0:2, შვედეთი – გერმანია 0:0, ჰოლანდია – თურქეთი 1:0.

**გია პლატონიშვილი**

რაგბი

# მრავლისმთქმელი ვიზიტი



**გუშინ თბილისს ქართული სპორტის ტალანტთა კიდევ ერთი სამჭედლო – „შევარდენის" ბავშვთა სარაგბო აკადემია შეემატა.**

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ერთდღიანი ვიზიტით ჩამოსული რაგბის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე დაესწრო, რომელიც ქართული რაგბის მზარდი ავტორიტეტისა და პერსპექტივების შესახებ სასაუბროდ პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრსაც შეხვდა.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ესპანელთა შავი დღე



**ასეთი რამ უკანასკნელად როდის მოხდა, ძნელი გასახსენებელია: ევროლიგის ოთხშაბათის რაუნდში სარბიელზე გამოსული ოთხივე ესპანური გუნდი დამარცხდა.**

მათგან განსაკუთრებით მოულოდნელი მადრიდის „რეალის" კრახი იყო. „სამეფო კლუბი" ბელგიაში „შარლერუასთან" შერცხვა – 49:67, არადა მანამდე ბენილუქსელებს ოთხივე შეხვედრა წაგებული ჰქონდათ.

**იმავე დღეს გამართული დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „პარტიზანი" – „ტაუგრესი" 74:71, „რომა" – „ოლიმპიაკოსი" 71:86, „სიენა" – „ბარსელონა" 76:67, „ოლიმპია" – „ვალენსია" 72:68, „რიტასი" – „ციბონა" 90:62, „შოლე" – „ფენერბახჩე" 82:78.

**შოთა გიორგაძე**

ინტერნეტიდან

## სიხარულიც და წყენაც

**თუმცა სლოვენიის ნაკრებზე გუშინწინდელი გამარჯვებით (2:1ძ საქართველოს ნაკრებმა ოდნავ გაანელა ფიფას ახალი – ნოემბრის რეიტინგით ოქტომბერთან შედარებით 3 საფეხურით უკანსვლის წყენა (გუშინწინდელი წარმატება ამხანაგური შეხვედრების ციკლის დაწყებამდე, თუ არ ვცდებით, დღის პირველ ნახევარში რომ გამოქვეყნდა, ახალ რეიტინგში საერთოდ ვერ აისახაძ, ხოლო ამ სიხარულს ალბათ დეკემბრის რეიტინგი გაგვახსენებს, უკვე იანვარში, ახალი წლის პირველ დღეებში. ჩვენ 422 ქულა გვაქვს და 78-ე ადგილზე ვიმყოფებით.**



არსებითი ცვლილება არ მომხდარა ფეხბურთის გრანდების პირველ ათეულში, იმის გარდა, რომ ის დატოვა ოქტომბერში მეათე ადგილზე მყოფმა რუსეთმა (13-ეძ და მისი ადგილი ეგვიპტემ დაიკავა.

**აი, როგორც გამოიყურება რეიტინგის პირველი ათეული.**

1. **ესპანეთი** – 1920 ქულა, 2. **ჰოლანდია** – 1718, 3. **ბრაზილია** – 1493, 4. **გერმანია** – 1489, 5. **არგენტინა** – 1353, 6. **ინგლისი** – 1250, 7. **ურუგვაი** – 1174, 8. **პორტუგალია** – 1102, 9. **ხორვატეთი** – 1098, 10. **ეგვიპტე** – 1074.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში, არც იქ მომხდარა დიდი ცვლილება – ხორვატები ისევ მე-9 ადგილზე არიან, ბერძნებმა და ისრაელელებმა თითო ნაბიჯით წაიწიეს წინ – შესაბამისად მე-11 და 55-ე. ხოლო ლატვია (73-ეძ და მალტა (169-ეძ თითო საფეხურით ჩამოქვეითდნენ.

## ღამის კლუბში გაბრწყინდა

**ბულგარეთის ერთ-ერთი მომხიბლავი ქალთაგანი, თანაც, „პლეიბოის" ვარსკვლავი ზლატკა დიმიტროვა ისევ მოხვდა ყურადღების ცენტრში. მან მიანდეს ახალი დისკოტეკის „სტუდენტთა ქალაქის" გახსნა. ის ალბათ გახდება ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საცეკვაო მოედანი.**



ზლატკასთან ერთად სიმბოლურად გაჭრა ახალი დაწესებულების ლენტი „2000 წლის ბულგარეთის მისტერმა", ბოდიბილდისტმა რადოი ჯამელოვმა, ხოლო რამდენიმე ლამაზმანი მათი ამალის სახით მოევლინა იქაურობას. შემდეგ ხელში ატაცებული დიმიტროვა შენობის მეორე სართულზე აიყვანეს, სადაც საზეიმო პროგრამა გაგრძელდა.

ალბათ ყველა თუ არა, უმრავლესობა გაახარა ზლატკას აღიარებამ, რომ აპირებს სამოდელო ბიზნესის მიტოვებასა და ბავშვის გაჩენას.

მეზობელთან

# სპორტული ზაფხულის გმირები – კრემლში

**2010 წლის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები საზაფხულო სპორტის 13 სახეობაში მიიღო კრემლში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა. თავის გამოსვლაში ქვეყნის თავკაცმა პირველ რიგში მოიხსენია ფრენბურთში ქალთა ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა იაპონიაში გამართულ ჩემპიონატზე.**

– მე იქ ვიყავი იმ მომენტში, – მაგრამ შეჯიბრება ვერ ვნახე, – გაეცინა პრეზიდენტს, რომელიც იმ დროს მონაწილეობდა აზია-წყნარი ოკეანის ორგანიზაციათა ეკონომიკურ სამიტში იოკო პომაში – ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი ყველა მოთამაშემ, საუკეთესოდ ტურნირზე აღიარეს ეკატერინა გრამოვა.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ზაფხული და შემოდგომა მოსავლიანი გამოდგა ოქროს მედლებით. მედვედევმა გაიხსენა ჩემპიონებიც სპორტის სხვა სახეობებში.

– თქვენ ყველა ძალზე ყოჩაღები ხართ, და ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა თქვენი მიღება ამ დარბაზში (ეკატერინეს დარბაზიძ, აქ ჩვეულებრივად მთავრობის ჯილდოებს გადასცემენ ჩვენს გამოჩენილ ადამიანებს საზეიმო მუსიკის აკომპანიმენტით. იმედი მაქვს, რომ სულ მალე ეს მუსიკა თქვენთვისაც აჟღერდება – თქვა პრეზიდენტმა, რომელმაც ამავე დროს გულშემატკივრებიც გაიხსენა.

საპასუხო სიტყვით გამოსულებმა. ფრენბურთელმა მარია ბოროდაკოვამ, მხატვრულმა ტანმოვარჯიშემ ევგენია კანაევამ და თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ოსლიკოვმა მადლობა გადაუხადეს პრეზიდენტს მათი წარმატებებისადმი ყურადღებისთვის და მზადყოფნა გამოთქვეს რუსეთის შემდგომი გახარებისთვის.

დასკვნით სიტყვაში მედვედევმა ყურადღება გაამახვილა სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-გამტკიცებაზე.



## დაიჯესტი

### რა სჭირდა მოდელს?



**ლეონარდო და ვინჩის შედევრის „მონა ლიზას" ცნობილი, იდუმალებით აღსავსე ღიმილი, კალიფორნიელი ოტოლარინგოლოგის კედარ ადურის აზრით, სახის კუნთის, ნერვული მოშლილობის შედეგია, რომელიც, თითქოს, მხატვრის მოდელს სჭირდა.** მეცნიერს მიაჩნია, რომ მოდელს სახის მარცხენა მხარის მსუბუქი დამბლა ჰქონდა, რომელიც, ჩვეულებრივ, ტუჩების კუთხეებში კუნთების შეკუმშვით გამოიხატება ხოლმე. იგი აცხადებს, რომ სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ „მონა ლიზას" ტუჩის მარცხენა მხარე რამდენადმე წამოწეულია, ამასთან მარცხენა თვალი მარჯვენაზე ოდნავ პატარაა.

### საჩუქარიც ამას ჰქვია!

**ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ამერიკელმა ფილანტროპმა უოლტერ ანენბერგმა ნიუ-იორკის სამხატვრო მუზეუმ „მეტროპოლიტენს" მილიარდ დოლარზე მეტად შეფასებული სურათების კოლექცია უანდერძა.**

მუზეუმის იმპრესიონისტ და პოსტიმპრესიონისტ მხატვართა განყოფილებისთვის ეს ყველაზე გულუხვი ძღვენია მას შემდეგ, რაც 1929 წელს მას სათავე ჰავერმაიერის კოლექციამ დაუდო, რომლის შექმნაში თავად ედგარ დეგა მონაწილეობდა.

50 მხატვრულ ტილოს შორის, რომლებიც უოლ-



ტერ ანენბერგის გარდაცვალების შემდეგ მუზეუმს გადაეცა, არის ბონარის, ბრაკის, ვან გოგის, ვიიარის, გოგენის, დეგას, მანეს, მატისის, მონეს, პიკასოს, რენუარის, სეზანის, სერასა და ტულუზ-ლოტრეკის ნამუშევრები.

### თუ ბრძენ ჩარაკას დავუჯერებთ...

**რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, შიდსი ინდოეთის მკურნალთათვის ოდითგანვე ყოფილა ცნობილი. დელის გაზეთ „სანდი მეილში" გამოქვეყნებული მასალის თანახმად, მეცნიერთა მიერ საგულდაგულოდ შესწავლილი სანსკრიტულ ენაზე დაწერილი „აიურვედიდან", რომელიც ტრადიციულ სამედიცინო სისტემას ეხება, ირკვევა, რომ იმუნოდეფიციტის გამომწვევი მიზეზები და სიმპტომები მაჰარიში ჩარაკას ტრაქტატში „ჩარაკა სამითჰაში" აქვს აღწერილი.**




ბრძენი ამ დაავადებას „ოჯაქშაიას" სახელით იხსენიებს, რომელიც ადამიანის „ოჯის" – იმუნიტეტის დაკარგვას იწვევს, რომლის მიზეზია აღვირახსნილი ცხოვრების წესი, განურჩეველი სქესობრივი კავშირები. ტექსტში აღნიშნულია, რომ დაავადებულს მხოლოდ სამი ათასი დღის სიცოცხლე უწერია, იგი თანდათანობით კარგავს ძალ-ღონეს, ხდება ნევროზული, იკლებს წონაში. თუმცა „აიურვედა" „ოჯაქშაიას" მკურნალობასაც გვთავაზობს. იმ შემთხვევაში, თუ დიაგნოზი დროულად და სწორადაა დასმული, შესაძლოა იმუნიტეტის განმტკიცების კურსის ჩატარება, რომელიც, მართალია, სნეულ კაცს სრულად არ კურნავს, მაგრამ სენის განვითარებას ანელებს, რითაც ავადამყოფს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

### ლეოპარდის მოკვლა... ერთი ჭრელი ძროხა ღირს

**სვაზილენდის მეფემ მსვატი III გლეხი მბოლვენი ხლოპე ჭრელი ძროხით დააჯილდოვა. გასაოცარი ამაში არაფერი იქნებოდა, რომ არა ორი გარემოება: პირველი ისაა, რომ 34 წლის მბოლვენიმ ჯილდო იმაში მიიღო, რომ ორთაბრძოლაში ლე-**



**ოპარდს სძლია, მეორეც ის, რომ, ტრადიციისამებრ, ჭრელი ძროხების ყოლის უფლება მხოლოდ მეფეს აქვს.** ერთ ხანს ლეოპარდი მბოლვენის სოფელს შემოეჩვია და შიშის ზარს სცემდა იქაურობას. ერთხელაც იგი ისევ გამოჩნდა სოფლის მახლობლად, მაშინ მბოლვენიმ ფარი და შუბი აიღო და თხების თავისი პატარა ფარისგან ცხოველის განდევნა დააპირა. მაგრამ ლეოპარდმა დაასწრო, ეცა გლეხს, წააქცია, ბრჭყალები მკერდში ჩაასო და ყელის გამოღადრაც დაუპირა. მაგრამ კაცი არ დაიბნა, ხახაში ხელი ჩათხარა და ენაში წაავლო. მოულოდნელობისგან ლეოპარდმა წამით შეწყვიტა შეტევა, ამასობაში მბოლანი შუბს სწვდა, ერთი ბოლო მიწაში ჩაარჭო, მეორე კი მხეცს მიუშვირა, ხოლო როცა ლეოპარდმა ხელმეორედ შეუტია, შუბის წვერს წამოეგო...

### „გოძილების" მოლოდინი

**თქმა არ უნდა: უცნაური იდეები უცნაურ ადამიანებს მოსდით თავში. ერთი ასეთი, დიდი მოკრძალებით რომ ვთქვათ, დინოზავრების გაცოცხლების იდეაა, მაგრამ მისი ავტორის ვინაობა დანამდვილებით ცნობილი არ არის.** ახლახან ცნობილი გახდა, რომ არიან ისეთი მეცნიერები, რომლებიც დინოზავრების



მოშენებას სერიოზულად ფიქრობენ. სპეციალისტები წინასწარ საგანგებოდ დამუშავებულ ღეროსებრ უჯრედებს სპერმად და კვერცხუჯრედებად გადააქცევენ, შედეგად კი დინოზავრებს... ამ ქვეყნად „ხელმეორედ მოვლენის" შანსი გაუჩნდებათ. მეტიც: ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გამოყოფილია საგანგებო ტერიტორია, სადაც მომავალ „გოძილების" მოაშენებენ – ესაა კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს მახლობლად ტერიტორია. თურმე სადღეისოდ უკვე სპეციალურად „მომზადებულია" რვა ათასი წარსულის ურჩხულის უჯრედები და სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ახლა მოდი და თქვი, რომ აპოკალიფსამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი!

## ჩი-კუ, ში-კუ და ქი-კუ



**არის პერიოდები, როცა სამსახურში დაბრუნებულს, ვთქვათ, შვებულებიდან, ანდა ავადმყოფობის შემდეგ, მუშაობის სურვილი კი გაქვთ, მაგრამ ერთ ადგილზე ვერ ჩერდებით, აზრები გეფანტებათ.**

აღმოჩნდა, აღმოსავლურ მედიცინას მიგნებული აქვს რამდენიმე უმარტივესი მასტიმულირებელი ვარჯიში, რომელთა პირდაპირ სამუშაო ადგილზე ჩატარების შემდეგ ტვინი თავისით „ჩაგერთვებათ".

„გონების მოკრეფის" სამივე ვარჯიში როგორც ორივე ხელით ერთად, ისე თითოეულით ცალ-ცალკე სრულდება. მთავარი პირობაა – მოძრაობათა მაქსიმალური დაძაბვის შეგრძნებამდე, მაქსიმალური ამპლიტუდით შესრულებაა.

**ჩი-კუ.** მოძრაობს ხელების მხოლოდ ცერები. 10-10 წრე შემოხაზეთ ორივე მიმართულებით.

**ში-კუ.** სკამზე მჯდომმა მხრები უკან გადასწიეთ, ბეჭები მიატყუპეთ და იდაყვები ტანს მიაკარით. დააფიქსირეთ ხელები მხრებიდან მოყოლებული მაჯებამდე. ამოძრავეთ მხოლოდ ხელის მტევნები. თითები მოღუნებულ მუშტებად შეკარით და 10-10 წრიული მოძრაობა გააკეთეთ ორივე მიმართულებით.

**ქი-კუ.** ხელების მტევნები მხრებზე დაიდეთ, ხერხემალი და კისერი უძრავად გქონდეთ. მხრებით 10-10 წრე შემოხაზეთ ისე, რომ იდაყვები ჯერ უკან გქონდეთ, შემდეგ – წინ. პირველ შემთხვევაში ბეჭები შეტყუპებული გექნებათ, მეორეში – ზურგი მომრგვალებული იქნება.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძე**

---



**მეუღლე ელენე სტურუა, შვილები ნინო და ვანო არსენიშვილები, შვილიშვილები მარიამ ოდიშელიძე და ირინა თევდორაძე, სიძე სანდრო თევდორაძე, ძმა ზურა არსენიშვილი, რძალი ცირა აფციაური, ძმისწული სოფო არსენიშვილი, ცოლისძმა რობერტ სტურუა, ბიძაშვილები ზაირა, ნონა, ლია არსენიშვილები, მარინა, თემურ ბეგიაშვილები, უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა**

**გია (გიორგი) არსენიშვილი**

**პანაშვიდი 19, 20 XI, 17 სთ-ზე, გამოსვენება 21 XI, 14 სთ-ზე, მისამართი ქიაჩელის ქ. 5/7.**

---

**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და კომიტეტის აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პარლამენტის წევრი, კომიტეტის თავმჯდომარე**

**გიორგი არსენიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე**

**გია არსენიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი**

**გია არსენიშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თინა ლოლუა, ია ნაცვლიშვილი, ვერა ხეჩინაშვილი, თამაზ შილაკაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**შოთა გიორგის ძე გელოვანი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომისა და ომის ვეტერანი, ფრიად ღვაწლმოსილი პროფესიონალი და ღირსეული მოქალაქე**

**შოთა გიორგის ძე გელოვანი**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.**

---

**უდიდესი გულისტკივილით და მწუხარებით ვიუწყებით ჩვენთვის ძალიან ძვირფასი და საყვარელი მეგობრის, დიდი მხატვრისა და ხელოვნის**

**ლევან ბოჭოიძის**

**გარდაცვალებას.**

**ბურჯანაძე მარინა, გელაძე მარიკა, ედიშერაშვილი თამრიკო, მინაშვილი თამრიკო, სუხიტაშვილი მანანა, შილაკაძე ნინო, ხომერიკი მაია, ჯიშკარიანი ნინო, ჭუბაბრია მარინა, ამაშუკელი ნოდარი, გივიშვილი გია, სულხანიშვილი ბეჟანი, სვანიშვილი ზაზა.**

**მისამართი: ნუცუბიძის 131, პანაშვიდი 19, 20 XI, 18 სთ. დაკრძალვა 21 XI, 14 სთ.**

---

**მეუღლე ეთერი, ქალიშვილი დეა, შვილიშვილები თეკლე, ზუკა, ლეო, ვასო, მამიდაშვილი ჯუმბერ ებრალიძე, ბიძაშვილი მიხეილ ესაკია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ლეო ესაკია**

**პანაშვიდი 19, 20 XI, 17 სთ. დაკრძალვა 21 XI, 14 სთ. გამოსვენება შროშის ქ. 1.**

---

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების გამგე, ცნობილი მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება, ბატონი**

**ლეო ესაკია**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**გიორგი დუნდუა მწუხარებას გამოხატავს და თანაუგრძნობს გელა ვადაქარიას**

**დედის**

**გარდაცვალების გამო.**

## უსიტყვოდ




ამირან ერაძის ნახატი.

**გამოიწერეთ!**

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე" ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა".



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის" ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე" – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე" – 93-38-75; „პრესექსპრესი" – 96-23-11; „ელვასერვისი" – 38-80-02; „ჯეომედია" – 95-51-70; „საქპრესა" – 51-59-05; „საქპრესა+" 51-57-43; „ინფო"-2007 – 34-11-40; „პრეს+" 14-23-97.

## დუნდუები და დონდუები 21 ნოემბერს პატრიარქის ლოცვა-კურთხევას მიიღებენ

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 21 ნოემბერს წირვის დამთავრების შემდეგ დუნდუების და დონდუების გვარებს დალოცავს.*

*გთხოვთ, დუნდუების და დონდუების გვარების წარმომადგენლებს 21 ნოემბერს მობრძანდით სამების საკათედრო ტაძარში.*

დუნდუების და დონდუების საგვარეულო დარბაზი



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7608 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4167 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8298 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |




## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე)

ვრცელი ფართობი (180 კვ.მ) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ⊙ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ამ კონცერნს სათავეში 8 დირექტორისგან შემდგარი საბჭო უდგას. ის აკონტროლებს რეგიონულ ფილიალს და ამერიკის ყველა დიდ ქალაქში შტაბ-ბინა აქვს. მისი წლიური შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე „ფორდის" „კრაისლერის", „ჯენერალ მოტორსის" და „ჯენერალ ელექტრონიქსის", ერთად აღებული და ეს ორგანიზაციაა ამერიკის მაფია.

● ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიაში უნიკალურია 1212 წლის ლაშქრობა. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო, გამარჯვების მინიმალური შანსიც არ ჰქონდა, რადგანაც ეს იყო ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა (ლაშქრობის მონაწილეთა შორის 14 წელზე მეტი ხნის არც ერთი არ იყო).

● საფრანგეთში ლუდოვიკო XIV დროს მუშკეტერთა ორი ასეული იყო: შავები და რუხები. ისინი ამ პრინციპით ცხენების ფერის მიხედვით დაყვეს.

● მიუხედავად იმისა, რომ მან დანაშაულებით იმაზე მეტი გამოიმუშავა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ქალმა, მას ყველა პატივს სცემს – ეს ქალი აგატა კრისტი იყო.

● მარკო პოლოს გადმოცემით, მონღოლები ლაშქრობების დროს საწვავად უპირატესობას ბამბუკს ანიჭებდნენ, რადგანაც ბამბუკი ხმაურით იწვის და გარეულ ცხოველებს აფრთხობს.

● ჩერნოგორიის მეფე სტეფან მცირემ XVIII საუკუნეში მხოლოდ ერთი შენობის აგებით აიცილა თურქთა შემოსევა – ეს იყო ყაზარმა ვითომ დასახმარებლად წამოსული რუსებისთვის.

● კარლოს დიდსა და ჰარუნ ალ-რაშიდს შორის VIII საუკუნეში დადებული ხელშეკრულებით „მარადიული მშვიდობისა და მეგობრობის" შესახებ საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ტურიზმს.

● 1942 წელს, როდესაც გაცხოველებული ბრძოლები მიმდინარეობდა ევროპის კონტინენტზე, დიდი ბრიტანეთის გენერალურ შტაბში აღმოაჩინეს, რომ კონტინენტის რუკები ან არ ჰქონდათ, ან მოძველებული იყო. ახალი გეოგრაფიული პარამეტრების მოპოვება ან ფოტოების გადაღება ომის მსვლელობის დროს თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ სამხედრო დიდჩინოსნებმა ხერხი იხმარეს: რადიოთი მოსახლეობას მოუწოდეს ევროპაში გადაღებული ყველა სურათი, ღია ბარათი ან ოჯახური ფოტოები მიეტანათ გენერალურ შტაბში.

● მაჩუ-პიქჩუს (პერუ), „ინკების დაკარგულ ქალაქს", მსოფლიოს ენერგეტიკულ პოლუსს უწოდებენ. ქალაქი გაუვალ ჯუნგლებშია და მას ვერაფრით მიაგნეს ესპანელმა კონსკიტადორებმა ქურუმებმა იქ გადამალეს საკულტო ქანდაკებები, ოქროს ჭურჭელი, მსახურება და ხელოსნები. ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ ინკები იქ 1800 წლამდე ცხოვრობდნენ. მაჩუ-პიქჩუ მხოლოდ 1911 წელს აღმოაჩინა ამერიკელმა არქეოლოგმა ჰაირამ ბინგემმა. ქალაქი თავისი ასტრონომიული ობსერვატორიით თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული.

შეკრიბა ტიტე კოპალეიშვილმა

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +6 – +13 |
| ქუთაისი. | +7 – +18 |
| ბათუმი. | +4 – +15 |
| ზუგდიდი. | +5 – +20 |
| თელავი. | +5 – +15 |


## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.


## ⊙ კადრი



## ⊙ ანეკდოტები

ორი დაქალი საუბრობს:

– შენს კავალერს აძლევ იმის უფლებას, რომ საღამოობით, განშორების წინ, გაკოცოს?

– არა!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემგან დილით მიდის.

* * *

ბრიტანელი მეცნიერების ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა გამოააშკარავა ძმები ლიუმიერების მიერ გადაღებული მსოფლიოში პირველი ფილმის „მატარებლის მოსვლის" გასაოცარი მისტიკური განსაკუთრებულობა: ამ ფილმის არა მარტო ავტორები, არამედ პირველი მაყურებლებიც გარდაიცვალნენ.



– მთელი ცხოვრება მეშინოდა ქურდების, – ამბობს ტიპი, – ამიტომაც მოვაწყვე ჩემი ბინა შესაბამისად.

– კი, მაგრამ მაინც რომ გაგქურდეს?

– ჰო, წუხელ.

– მაინც რა წაიღეს?

– ის ულტრათანამედროვე ხელსაწყოები, რომლებსაც არ უნდა მიეცათ ქურდებისთვის ბინაში შემოღწევის საშუალება.

* * *

– ალო! ალო! გესმის ჩემი? შენთან ისე კარგად ვგრძნობდი თავს, როგორც არც ერთ ქალთან არ მიგრძნია!

– მაგრამ მე ხომ არც ვარ ქალი!..

* * *

– ვარ თუ არა ქვეყნად ყველაზე გულმოწყალე, ლამაზი და კეთილი?

– რა თქმა უნდა, ხარ, ოღონდ პისტოლეტი დაუშვი!


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.